საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-პარასკევი, 19-20 მარტი. 2020 წ. №49 (8975) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქვეყნის მთავარი საზრუნავი

როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო?

რუსეთი დღესაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანაა ტერიტორიით და უმდიდრესი წიაღისეულით. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, ხოლო ჩვენს მოკრძალებულ და უძვირფასეს კუთხეებს თავი დაანებოს.

4

სინოდის სხდომა 20 მარტს გაიმართება

წმინდა სინოდის სხდომა 20 მარტს გაიმართება, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს. **„20 მარტს, 12:00 საათზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით წმინდა სინოდის სხდომა შედგება“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამასთან, რა საკითხები განიხილება სინოდის სხდომაზე, დაკონკრეტებული არ არის.

მადლობა მათ დაინტერესებისა და დადებითი შეფასებისთვის

ირაკლი კობახიძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადებას გამოეხმაურა. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, შეფასება პოზიტიურია, მმართველი გუნდი კი ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე ხელმოწერილი ორივე დოკუმენტის შესრულებას აპირებს.

„ჩვენ ზედმიწევნით ვასრულებთ და აუცილებლად ბოლომდე შევასრულებთ ორივე შეთანხმებას, რომელსაც მოვაწერეთ ხელი. ეს არის ჩვენი პოზიცია და, ბუნებრივია, გავუზიარეთ ჩვენ ეს პოზიცია ევროსაბჭოს მომხსენებლებსაც, როდესაც იმყოფებოდნენ საქართველოში. ჩვენ ევროსაბჭოს მომხსენებლებს მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა პროცესთან დაკავშირებით, რომელიც წარიმართება საქართველოში. ამის შედეგია ის, რომ ეს ინფორმაცია არის სათანადოდ ასახული მომხსენებლების ანგარიშში და არის პოზიტიური შეფასება წარმოდგენილი მათი მხრიდან. მადლობა მათ დაინტერესებისა და დადებითი შეფასებისთვის“, — განაცხადა კობახიძემ.

მოსკოვის „პოლიტიკური ხაფანგი“ – სტაბილურად არეული საქართველო

8

„გოდორი“ არ დაგავიწყდეთ, შვილებო!..

ლუგარის მშენებლობა საერთაშორისო ვალდებულება იყო და არა – სააკაშვილის დამსახურება!

3

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო“!..

რომანი – ერეკლე მეორის საფერი

7

სალომე ზურაბიშვილი 68 წლისაა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გუშინ 68 წლის გახდა. ქვეყნის პირველი ქალი პრეზიდენტი იუბილარია. სალომე ზურაბიშვილი 1952 წლის 18 მარტს პარიზში, ქართველი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. 1974-2004 წლებში დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (საელჩოები იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩადიში); საფრანგეთის წარმომადგენლობებში (გაერო, ნატო, დასავლეთ ევროპის კავშირი, ეუთო).

მუშაობდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის ეროვნული თავდაცვის გენერალურ სამდივნოში საერთაშორისო და სტრატეგიულ საქმეთა დირექტორად; საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სტრატეგიულ ურთიერთობათა სამმართველოს უფროსად. 2003 წელს იგი საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა საქართველოში და სწორედ იმ პერიოდიდან იწყება მისი ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური კარიერა.

2004-2005 წლებში იგი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ, 2006 წლის 11 მარტს დააფუძნა პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“. 2010 წლიდან 2015 წლის დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ირანის სანქციების მონიტორინგის ჯგუფს. 2016 წელს მან, როგორც დამოუკიდებლმა დეპუტატმა, კენჭი იყარა მთაწმინდის საარჩევნო ოლქში. ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახის პირადმა მეგობარმა ჯერ მაჟორიტარული არჩევნები მოიგო „ქართული ოცნების“ დახმარებით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კი, მმართველ გუნდს განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდა, რომ ქვეყნის მე-5 პრეზიდენტი გამხდარიყო.

ვულოცავთ ქვეყნის პირველ ქალ პრეზიდენტს დაბადების დღეს!

საგრანტო პროგრამა საქართველოს დასახმარებლად

კორონავირუსის წინააღმდეგ საქართველოს დასახმარებლად, აშშ USAID/Georgia-ს მეშვეობით სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამას აცხადებს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

„ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს საზოგადოების ძალისხმევას COVID-19-თან ბრძოლაში. USAID/Georgia-ს მეშვეობით ვაცხადებთ სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამას სახელწოდებით ACT NOW. პროგრამა დაეხმარება ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოში COVID-19-ის გავრცელების შემცირებაზე; აუცილებელ დახმარებას უწევენ მაღალი რისკის ქვეშ მყოფ თემებს; ხელს უწყობენ სექტორთშორის თანამშრომლობას ქვეყნის საპასუხო ძალისხმევის გასამტკიცებლად; მაქსიმალურად ეფექტიანად მოქმედებენ COVID-19-ის კრიზისის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების საპასუხოდ“, — აღნიშნულია საელჩოს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, გრანტების რაოდენობა 500 აშშ დოლარიდან 5 000 აშშ დოლარამდეა და გაიწერება 3-დან 7 დღის განმავლობაში.

გიორგი გახარია: ჩვენს ბიზნესში არის ბევრი სამაგალითო შემთხვევაც, რომელიც კონკრეტულ ნაბიჯებში გადაიზარდა

ზოგიერთი ცალკე აღებული კომპანიის მხრიდან იყო არაკეთილსინდისიერი ქმედების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც ამ რთულ პერიოდში ცდილობენ, დამატებითი სარგებელი და მოგება უზრუნველყონ თავიანთი თავისთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეკონომიკის თემატური ჯგუფის შეხვედრაზე განაცხადა. თუმცა, როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამასთან ერთად, **„ჩვენს ბიზნესში არის ბევრი სამაგალითო შემთხვევაც, როდესაც სოციალური პასუხისმგებლობა, სოლიდარობა მოქალაქესთან და სახელმწიფოსთან ერთად უკვე კონკრეტულ ნაბიჯებში გადაიზარდა“.**

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ბიზნესის მხრიდან გამოთქმული ინიციატივების კოორდინაციის მიზნით, ბიზნესომბუდსმენის ხელმძღვანელობით სპეციალური პლატფორმა იქმნება.

„ეს იქნება პლატფორმა, რომელზეც, ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საკუთარ ინიციატივებს წარადგენს. იზრდება იმ თხოვნების რაოდენობა, რომლითაც მოგვმართავენ როგორც აქ, ადმინისტრაციაში, ასევე მერიაში და კონკრეტულ სამინისტროებში. შესაბამისად, ამ მიზნით იქმნება პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობის მიზანია, ჩვენს მოქალაქეებთან ერთად, რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები ზიანით დავძლიოთ ეს გამოწვევა და კრიზისი. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც მოხდება“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

კობა გვენეტაძე: საბანკო სექტორს არ ემუქრება არანაირი საფრთხე!

ფინანსური სტაბილურობა ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი მანდატია და, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა ძალისხმევას ვიყენებთ, რათა ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობას არაფერი დაემართოს, — ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ განაცხადა ფინანსურ სექტორზე კორონავირუსის გავლენაზე საუბრისას. მისი თქმით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს კორონავირუსით გამოწვეული უარყოფითი ფინანსური და ეკონომიკური ეფექტების შემცირებას.

„სამოქმედო გეგმა შეესაბამება ამ მიმართულებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ რეკომენდაციებს. სექტორისთვის პროგნოზირების ზრდისა და საზედამხედველო ღონისძიებებზე მეტი სიცხადისთვის, სამოქმედო გეგმა ასევე მიეწოდა კომერციულ ბანკებს. ვინაიდან საბანკო სექტორს აქვს კაპიტალისა და ლიკვიდობის კომფორტული რეზერვები, რომლებიც თანდათანობით გროვდებოდა. ამასთანავე, დაბალია უმოქმედო სესხების მოცულობა მთლიან პორტფელში და ბოლო წლებში სექტორი სოლიდური მომგებიანობით გამოირჩეოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსური სექტორი მოცემულ გამოწვევას მომზადებული ხვდება“, — განაცხადა გვენეტაძემ.

პაატა იმნაძე: ახალი კორონავირუსის მიმღებლობაზე ბავშვები კვლავ დაბალი რისკის ჯგუფში რჩებიან



როდესაც ქვეყანაში კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა 40-იც არ არის, რაიმე სტატისტიკაზე საუბარი არასერიოზულია, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის მოადგილემ პაატა იმნაძემ კორონავირუსით ინფიცირებულ ბავშვებთან დაკავშირებულ კითხვაზე კომენტირებისას განაცხადა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, იყო თუ არა საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებული ბავშვების რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი, რაზეც პაატა იმნაძემ აღნიშნა, რომ ჯერ სტატისტიკაზე საუბარი ნაადრევია.

„როდესაც შემთხვევების რაოდენობა 40-იც არ არის, ქვეყანაში რამე სტატისტიკაზე საუბარი არასერიოზულია. როდესაც ჩინეთმა გამოაქვეყნა სტატისტიკა 75 ათას შემთხვევაზე, იქიდან შეიძლება, გამოიყვანო სტატისტიკა. ჯერ ბავშვები ისევ რჩებიან დაბალი რისკის მქონედ დაავადების მიმღებლობასთან დაკავშირებით, ასევე დაავადების სიმძიმესთან დაკავშირებით. თუმცა, ბავშვები რისკს წარმოადგენენ, რადგან მათ ძალიან მსუბუქად გადაიტანეს. ისინი შეიძლება იყვნენ გავრცელების დამატებითი წყარო ბებიებისა და ბაბუებისთვის“, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

◎ აფთარი აფთროობას არ მოიშლის!

ზოგი ჭირი ნუთუ მართლა მარგებელია?!..

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და რაიმე ფილოსოფიურ-პოლიტიკური შესავლის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ კორონავირუსმა ბევრი საკმაოდ პოზიტიური საძმე გააკეთა.

დიახ, სწორედაც პოზიტიური, რაც, პირველ რიგში, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ლუსტრაციაში გამოიხატა (მსოფლიოს მასშტაბითაც ბევრი რამ გამოჩნდა, მაგრამ გლობალურ პრობლემებს თავს დავანებებ და მხოლოდ ჩვენს თავს გადამხდარ ამბებზე ვილაპარაკებ).

ბუნებრივია, არ დავიწყებ არც კონკრეტული გვარების დასახელებას და არც კონკრეტულ მაგალითებს მოვიყვან. ეს ყველაფერი თქვენც კარგად იცით.

1. დაგვანახვა, რომ ხელისუფლება გვყავს. გვყავს ის ხელისუფლება, რომლის შესახებ ვიცოდით, რომ ბევრ კარგ რამეს აკეთებდა. დღეს კი დავინახეთ, რომ მას კრიზისული ვითარების ოპერატიული მართვა და შედეგის მომცემი ქმედების განხორციელება შეუძლია.

2. დაგვანახვა, რომ პოლიტიკურ ველზე მოთამაშე ხალხის უდიდესი უმრავლესობა მართლაც „მოთამაშეა“ და მათთვის არამც თუ ხელისუფლების გადაბარება შეიძლება, არამედ ისინი საეროდ უნდა გაქრნენ პოლიტიკური სივრციდან.

3. დაგვანახვა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი რეალურად აღიქვამს არსებულ გამოწვევას და ჯანსაღად მიჰყვება მათგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესების განვითარებას.

4. დაგვანახვა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი (საბედნიეროდ, მცირე, მაგრამ მაინც) აზროვნებს არა მხოლოდ არასახელმწიფოებრივად, არამედ მისი შინაგანი მდგომარეობა მაპატიეთ ამ უხეში სიტყვისთვის, არის ღორული!

5. დაგვანახვა, რომ სახელმწიფოს შენების პროცესში (რაც ფაქტობრივად ახლა მიმდინარეობს) აგრესიული ლიბერალიზმი და განათლების ის სისტემა, რასაც ამ ბოლო წლების განმავლობაში გვჩრიდნენ, არის ზერო, და რეალური შედეგი გარდა განვითარების დამუხრუჭებისა და უკან დახევისა, არაფერი მოაქვს.

6. დაგვანახვა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ე.წ. „ქართველი მშენებლები“ არიან კორუმპირებული და უსაქმური ადამიანები, რომლებიც ამ კრიზისულ სიტუაციაში თავიანთი ნამდვილი მოვალეობის შესრულების ნაცვლად, ფაქტობრივად, „გაითიშნენ“ და სავსებით ამოვარდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

7. დაგვანახვა, რომ განათლებისა და ინტელექტის მიმართულებით მედიაში ძირეული ძვრებია განსახორციელებელი.

8. დაგვანახვა, რომ ქართველი ბიზნესმენები სახელმწიფოსთან და ხალხთან დამოკიდებულების მხრივ ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან, როგორც ცა და დედამიწა. თუ ზოგიერთი ამ რთულ დროს მეტ გამორჩენას ელის, დიდი ნაწილი მზად არის, უანგაროდ და მაქსიმალურად დაუდგეს გვერდში ხალხსა და ქვეყანას.

დაბოლოს: დაგვანახვა, რომ გვყავს ბრწყინვალე სამედიცინო საზოგადოება და შესანიშნავი მოსახლეობა, რომლებსაც ვერავინ და ვერაფერი მოერევა! საკმაოდ საინტერესო იყო საზოგადოების მცირე ნაწილის მიერ საქართველოში ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების აღქმა.

ამ რამდენიმე დღის წინათ დამირეკა ძალიან ახლობელმა ადამიანმა და მითხრა — მთავრობას ამ ვირუსით ტუზი დაეცაო. კი, მაგრად მუშაობენ, მაგრამ არჩევნების წინ მაგრად გაუმართლათო, და ეს არ არის ერთი ან ორი ადამიანის, ან ვინმე პოლიტიკურ-ოპოზიციურად ანგაჟირებული ადამიანის ხედვა. სამწუხაროდ, ასეთი მოსაზრებები სწორედაც აპოლიტიკურ და განათლებულ ადამიანებში ტრიალებს და ამის უმთავრესი მიზეზი ის ნიჰილისტური დამოკიდებულებაა, რასაც ნაცტელევიზიები გავეშებით ამკვიდრებენ.

არადა, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, სტალინს მაგრად გაუმართლა, გერმანიამ ომი რომ დაიწყო.

არის ასევე ე.წ. „ძალადპრადვინუტების“ კასტა, რაზეც, არ დაგიმალავთ, და ძალიან „ვკაიფობ“.

— ამერიკამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, და ჩვენ რატომ არ ვაცხადებთ.

— კარანტინში და თვითიზოლაციაში გამწესება ადამიანის უფლებების დარღვევაა.

— რას ტრაბახობს „ქართუ ფონდი“.

— ის პირველი პაციენტი იქნებ ჯერ არ გამოჯანმრთელებულა.

— საქართველო სრულიად მოუმზადებელია, და ქართველი ექიმები ვერაფერს გახდებიან.

იხ. 5 გვ.

„გოდორი“ არ დაგავიწყდეთ, შვილებო!..

ლუგარის ლაბორატორიის შესახებ გიორგი ცაგარეიშვილის წერილს რომ ვაზიარებ, დახუნძლულს სწორი ფაქტებით, ინფორმაციულის გარდა, მაქვს ერთი „ეშმაკური“ მიზანიც, რომელსაც თავადაც მიხვდებით.

წერილში სწორი მინიშნებაა უფროსი თაობის პროფესიონალთა ღვაწლზე. ბრმა და ყრუ უნდა იყო, რომ ეს არ დაინახო და არ ისმინო.

ეს ის თაობაა, რომელიც წინა ხელისუფლებამ საქვეყნოდ გაიმეტა „ჩასარეცხად“.

პირველად ეს სამარცხვინო ტერმინი ამ 15-ოდე წლის წინათ გაჟღერდა შეუძლოდ მყოფი ცხონებული სულხან მოლაშვილისთვის, გამოძიების პერიოდში პაწია შეღავათის გაწევის თხოვნის კოლექტიურ წერილთან დაკავშირებით. ამ წერილს ხელს აწერდნენ თანამედროვე ქართული მწერლობის კორიფეები — **ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი,** ქართული მეცნიერების და კულტურის, განათლებისა და სპორტის თვალსაჩინო მოღვაწენი...

სწორედ ეს საამაყო ადამიანები დატუქსა თავხედურად და გაიმეტა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან „ჩასარეცხად“ მაშინდელმა „ბელადმა“ — პროფესორების ოჯახში დაფრთიანებულმა მოინტელიგენტო ბრიყვმა რევოლუციონერმა.

და ეს კრეტინული და უზრდელური პოზიცია მარტო მას როდი ჰქონდა. „კოლექტიური ლომაია“ მაშინ ურცხვად და უკონტროლოდ „დანავარდობდა“ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ასეთი მიდგომის „ჩინებულ“ მაგალითად გამოდგება მრავლისმეტყველი ფაქტი, როცა „ბელადის“ ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, რომელსაც ქვეყნის სულიერი ცხოვრების საჭე ებარა, კოლეგებთან ერთად ვერ მოიცალა იმისთვის, რომ პატივი ეცა და ოჯახისთვის სამძიმარი ეთქვა ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის გარდაცვალების გამო.

და როცა მას ამ უყურადღებობაზე მიანიშნეს, ამპარტავნულად განაცხადა: მე ამ თანამდებობაზე იმიტომ არ დავუნიშნივართ, რომ ვიღაცების(!!!) პანაშვიდებზე ვიაროო.

ანა კალანდაძე, ანუ, „ვიღაცა“ ... დიახ, არც მეტი, არც ნაკლები!

...და ეს გულსატკენი და სამარცხვინო „მოვლენა“ უმალ გამახსენა იმ ინტერვიუმ, რომელიც პრემიერმა **გიორგი გახარიამ** 17 მარტის საღამოს მისცა ტელევიზიას.

ამ მართლაც ჩინებული, ღრმა, კომპეტენტური, გაბედული გამოსვლის ანალიზის სურვილი და უფლება სხვებისთვის დამითმია. ჩემთვის კი უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მგრძნობიარე იყო პრემიერის მოწოდება:

ყველანი უნდა გავუფრთხილდეთო ჩვენი მშობლების თაობას — ჩვენს დედებს და მამებს, ჩვენ ბებიებს და ბაბუებსო!

კი არ ჩავრეცხოთო!..

კი არ დავხოცოთო!..

კი არ ვლანძღოთ და ვაგინოთო!..

კი არ ვუღრინოთ და დავკბინოთო, როგორც ამას იმ „ცხრაწლიან“ პერიოდში დაუფარავად მოგვიწოდებდნენ. თანაც, მარტო ხანდაზმულ, დამსახურებულ მოღვაწეებს კი არ „ერეკებოდნენ“ ზეცისკენ, არამედ 40 წელს ცოტათი გადაცილებულებიც კი ჰყავდათ გამეტებული „ჩასარეცხად“, „სულის ამოსახდელად“, ჩასაქოლად...

ბევრს მოუსწრაფეს კიდეც სიცოცხლე. კიდევ კარგი, ყველას ვერ მოერივნენ. გაუძლეს და „გადარჩნენ“, თუნდაც, ისინი, რომელთა გვარები ახლა ყველას პირზე აკერია მადლიერებით: გამყრელიძეები, ცერცვაძეები, იმნაძეები, ეზუგბაიები... დავამატებდი: ჩაფიძეები, ჯორბენაძეები, ბოჭორიშვილები... მათი მსგავსი სუპერ-პროფესიონალები და უღირსეულესი პიროვნებები სხვა სფეროებში... ისინი მაშინაც, დევნისა და ლანძღვა-გინების „ეპოქაში“ ჯიუტად აგრძელებდნენ სვლას წინაპართა გაკვალულ გზაზე, თესდნენ სიკეთეს, ზრდიდნენ მომავალს...

ჰოდა, იმ „ჩასარეცხად“ განწირულმა, გაგდებულმა, დაუმსახურებლად გალანძღულმა 40-წლიანებმა, თქვენმა დედებმა და მამებმა, უკვე 60 წელსაც მიაღწიეს „ჩაურეცხელთა“ ზრუნვით; ის „ჩაურეცხელნი“ კი, თავადაც 80-90-წლისანი რომ გახდნენ ღვთის წყალობით — არიან თქვენი საამაყო ბებიაბაბუები, ის დამსახურებული ადამიანები, თქვენ რომ ზურგზე ჰყავდით მოკიდებულნი, დღე და ღამეს თქვენზე ზრუნვაში ატარებდნენ. სწორედ მათზე თქვა პრემიერმა: გავუფრთხილდეთო!!!

გეყურებათ, ქალიშვილებო და ჭაბუკებო:

გავუფრთხილდეთო!!!

წერტილი! ამას ზედმეტი კომენტარი აღარ სჭირდება. არც ახსნა და განმარტება. ამას სჭირდება მხოლოდ ომახიანი საერთო შეძახილი:

ბრავო! გმადლობთ!

ვაღიაროთ: არცერთ პრეზიდენტს, არცერთ პრემიერს, არცერთ გამორჩეულ ლიდერს, ბოლო 30 წლის მანძილზე, ასეთი რაინდული, სიყვარულით და პატივისცემით აღსავსე მოწოდება არ გაუჟღერებია.

კარგია, საამაყოა, სასიხარულოა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, რომლის სახელით და მანდატით მოქმედებს პრემიერი, ამ პოსტზე შეარჩია ტრადიციულ(!) ოჯახში(!) ღირსეულად(!) გაზრდილი(!) ახალთაობის კაცი.

კაცი!!! პიროვნება, რომელსაც წაკითხული და გააზრებული აქვს ძველი ქართული ბრძნული არაკი უმადური შვილისა და მზრუნველი მამის შესახებ, რომელსაც ჰქვია... „გოდორი“.

ახალგაზრდებს აღარ შევახსენებ შინაარსს. მხოლოდ მოვუწოდებ: არ დაგავიწყდეთ ამ არაკიდან გამომდინარე გაუხუნარი, ჭკუის სასწავლებელი რჩევა: „გოდორი“ არ გადააგდოთ სადმე, უპატრონოდ, უმისამართოდ, ბიჭებო, ის „გოდორი“, რომელიც თქვენს შვილებს შეიძლება დასჭირდეთ თქვენი, ანუ, თავიანთი მოხუცებული წინაპრების „ჩასარეცხად“ წაყვანისთვის.



თუმცა, იმედი მაქვს, რომ საქართველოში უკვე იზრდებიან მოღვაწენი, რომლებსაც ამ მწარე სიბრძნის შეხსენება აღარ დასჭირდებათ.

გიხაროდენ!

ნუგზარ ფოფხაძე

ლუგარის მშენებლობა საერთაშორისო ვალდებულება იყო და არა – სააკაშვილის დამსახურება!

ყოფილი დეპუტატი **გიორგი ცაგარეიშვილი** „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ლუგარის ლაბორატორიის შექმნის ისტორიას იხსენებს და აცხადებს, რომ ცენტრის აშენება საერთაშორისო ვალდებულება იყო.

მისივე თქმით, ლაბორატორიის ისტორია 1997 წელს დაიწყო... პირველ დოკუმენტს კი ხელი ჯერ კიდევ 2002 წლის მაისში მოეწერა.

„ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა და ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რითაც საქართველო ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას შეუერთდა. ეს 1997 წელს იყო... მაშინ ამგვარი დაწესებულების შექმნის იდეას საქართველოში პირველი საფუძველი ჩაეყარა, რაც შემდგომ განხორციელდა კიდეც. ამის გაგრძელება 2002 წელს იყო. იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრების შეთანხმება, რომლის რატიფიცირებაც 2003 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა. ამ შეთანხმებაში იდო უკვე კონკრეტული ზრახვები იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნებოდა მძლავრი ცენტრი, სადაც საქართველოდან ყველა ის საშუალება მოიყრიდა თავს, რომელიც მთელ ქვეყანაში გაბნეული იყო. დაწყებული ქობულეთიდან, დამთავრებული თბილისამდე. რამდენიმე ამგვარი მიკროენტი იყო, სადაც ინახებოდა შტამების რეაქტივები, მათ შორის, შავი ჭირის, მალარიისა და ა.შ. ყველაზე მძლავრი ცენტრი იყო დედაქალაქში — საქართველოს ე.წ. შავი ჭირის ცენტრი, რომელიც 1937 წელს შეიქმნა. ეს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მძლავრი ინსტიტუცია გახლდათ, რომელიც ინფექციურ, გადამტან ავადობებზე მუშაობდა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ შეიქმნა ძალიან დიდი საფრთხე იმის, რომ ეს შტამები გაბნეულიყო. ამით მესამე ქვეყნებს ესარგებლათ, რომლებიც ბინძური იარაღის დამზადებით გარკვეულ ნაბიჯებს დგამდნენ. აშშ-ში ეს საფრთხე იგრძნეს და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. შტამების შენარჩუნება საქართველოში ამერიკელების უმთავრესი ამოცანა იყო,“ — აცხადებს გიორგი ცაგარეიშვილი.

ამ პროექტში საქართველოს მთავრობის მონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი

„პარლამენტში რატიფიცირების შემდეგ ჩვენ უკვე მოგვეცა საშუალება, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად აქტიურად დაგვეწყო ფიქრი ცენტრის შექმნაზე. მშენებლობა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაწყდა. მშენებლობას საფუძველი 2004 წელს ჩაეყარა და დიდხანს გრძელდებოდა. ეს არის უნიკალური დაწესებულება მთელ რეგიონში. თავიდან 30 მილიონი დოლარით დაიწყო, შემდეგ დახმარება 350 მილიონამდე გაიზარდა. გაფორმებული შეთანხმებით ამერიკის მთავრობა თავის თავზე იღებდა ყველა ხარჯს ცამეტი წლის მანძილზე. საქართველოს მთავრობის მონაწილეობა ამ პროექტში მინიმუმამდე იყო დაყვანილი. თუ არ ჩავთვლით უკვე საერთაშორისო შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს, რომელსაც ასრულებდნენ. ასე იყო მთელი 13 წლის განმავლობაში. 2018 წელს კი ლუგარის ცენტრი მთელი თავისი აღჭურვილობით საქართველოს ხელისუფლებას გადაეცა, რომელსაც გაუჩნდა ვალდებულებები სრულად დაფინანსების. ასევე უზრუნველყოს ლაბორატორიის მუშაობა და იქ წარმოებული კვლევები. ეს ყველაფერი ამის ისტორიაა,“ — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

„ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ სიცოცხლეზე ის ექიმები ზრუნავენ, რომლებიც მიხეილ სააკაშვილმა მძლავრად „ჩარეცხა“, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა. მათ შორის, ბატონი ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე და სხვები. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით „ჩარეცხა“. სწორედ ამ თაობას უთხრა, რომ ისინი უვარგისები არიან მომავალი თაობისთვის. ახლა, რა მოხდა? ისევ ამ ადამიანებს მივაკითხეთ გადასარჩენად. როცა ერთ-ერთ არხზე ლანძღავ იმ ექიმებს, რომლებიც სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან, ამით ძირს უთხრი სახელმწიფოებრიობას. ეს ზღვარი ვერ დაინახეს ამ ადამიანებმა. ისე არიან შურით და ღვარძლით გონებადაბინდებულები. ოღონდ ამ ხელისუფლებას არაფერი გამოუვიდეს და ყველაფერი წყალსაც წაუღია,“ — განუცხადა „პრაიმტაიმს“ გიორგი ცაგარეიშვილმა.

ეს (ლუგარის მშენებლობა) საერთაშორისო ვალდებულება იყო და არა სააკაშვილის დამსახურება

„ეს ყველაფერი ტყუილია. რა თქმა უნდა, ამის არავის აღარ უკვირს. ეს ადამიანი ყველა საშუალებას იყენებს, რომ საქართველოს მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანოს. ეს არის უზნეობა. სააკაშვილი შემჩნეულია ამაში. ცდილობს, ყველაფერი სათავისოდ მიიწეროს, რომ მან შექმნა ახალი ქართველი და ყველაფერი ამ ქვეყანაში. ისიც თქვა, 150 სააკადემიო ავაშენეთო. ბოდვითი იდეები. ან კიდევ ღიმილიანი საქართველოს იდეა, ნახევარ ქვეყანას, ასაკოვან ხალხს წინასაარჩევნოდ კბილები რომ ამოაცალა.

ის, რომ ლაბორატორია „ნაციონალური მოძრაობის“ დროს შენდებოდა, ეს საერთაშორისო შეთანხმებაში იდო, რომელსაც პარლამენტმა ხელი 2003 წელს მოაწერა. ეს საერთაშორისო ვალდებულება იყო და არა სააკაშვილის დამსახურება. ამას გვერდს ვერ ავუვლიდით. რა თქმა უნდა, ის ცდილობს, წარმოაჩინოს ისე, რომ ყველაფერი სააკაშვილის გაკეთებულია,“ — განუცხადა „პრაიმტაიმს“ გიორგი ცაგარეიშვილმა.

როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო?

წლეულს, 7 მაისს 100 წელი სრულდება, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებიდან და თითქმის 30 წელი მასთან გაურკვეველი ურთიერთობისა, რომელიც არც ერთი ხალხისთვის არ არის მისაღები, მათ შორის, არც აფხაზებისთვის და ოსებისთვის. ბოლოს და ბოლოს, დროა ,მოიძებნოს ყველასთვის სასურველი გამოსავალი.

სამწუხაროდ, ცხოვრებამ აჩვენა, რომ ჩვენი ნატოში გაწევრება მისაღები არ არის პრაგმატული და გაწონასწორებული ევროპელებისთვის, რომლებსაც არ აწყობთ ჩვენს გამო ზედმეტი თავის ტკივილი და ამისთვის ვერც გავამტყუნებთ.

მაგრამ მხოლოდ სრული ნეიტრალიტეტი და სამხედრო ბლოკებში გაერთიანებაზე უარის თქმა ჩვენთვის ვერანაირად ვერ იქნება საკმარისი.

ნაცისტურმა გერმანიამ ისე ჩაყლაპა ნეიტრალური ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, გადაუარა ნორვეგიას, დაიპყრო მთელი დასავლეთ ევროპა საფრანგეთთან და პოლონეთთან ერთად, რომ, ერთიც არ ამოუსუნთქავს. პარალელურად, საბჭოთა კავშირმა დაიპყრო ნეიტრალური ბალტიისპირეთი, წაგლიჯა ნეიტრალურ ფინეთს ტერიტორიის მესამედი და მიუხედავად მასთან ახლანდელი ვითომ მეგობრობისა, მისთვის დღემდე არ დაუბრუნებია ერთი გოჯიც კი.

თუ რეალურ ისტორიულ მაგალითებზეა ლაპარაკი, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე შთამბეჭდავი და მისაბაძი იქნებოდა დღევანდელი ისრაელის მაგალითი. იგი არ არის ნატოს წევრი, გარშემორტყმულია მტრულად განწყობილი არაბული ქვეყნებითა და ირანით და უკვე 72 წლის მანძილზე გადაიტანა მათთან ორი დიდი, აურაცხელი მცირე ომი და საწყისი ტერიტორია კი არ დაუკარგავს, გაიფართოვა კიდევაც.

ამის საფუძველია ძლიერი და ქვეყნისთვის საყვარელი საკუთარი არმია, აღჭურვილი ძირითადად საკუთარი წარმოების იარაღით, სადაც კაცებთან ერთად, ღირსეულად მსახურობენ ქალებიც.

ამავე დროს, ისრაელს ჰყავს სტრატეგიული მოკავშირე (აშშ), რომელიც მას პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს, ზოგჯერ იარაღითაც (არა ცოცხალი ძალით).

ჩვენს გარშემო რუსეთის გარდა თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სულ ახლოს ირანია. ვინ დაიცავს ჩვენს ნეიტრალიტეტს მათი აგრესიის შემთხვევაში? არავინ! არც ნარტო, არც გაერო, არც „შეშფოთებული“ და „აღშფოთებული“ საერთაშორისო საზოგადოება, როგორც ეს რუსეთის შემოტევის დროს 2008 წელს დადასტურდა.

ამიტომ დღევანდელი მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის საზღვრების აღსადგენად და შემდგომი უსაფრთხოების დასაცავად, გარდა ნეიტრალიტეტისა, საჭიროა კიდევ ორი რამ: 1. საკუთარი ძლიერი არმიის შექმნა სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო, ჰაერსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმედგო დანაყოფებით; 2. სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც ჩვენს ნეიტრალიტეტს გარე აგრესიის შემთხვევაში დაიცავს.

საკუთარი ძლიერი არმიის შესაქმნელად თავიდან ჩვენ ბევრად უკეთესი პირობები გვქონდა, ვიდრე ისრაელს გასული საუკუნის 50-იან წლებში. არც ახლაა გვიან და ძალიანაც საჭიროა, ვინაიდან ეს გამოაცოცხლებს ჩვენს ეკონომიკას, დაასაქმებს ბევრ ადამიანს და მინიმუმამდე დაიყვანს კორუფციას იარაღის შესყიდვებში.

რაც შეეხება ჩვენი ნეიტრალიტეტის დამცავ ქვეყანას, ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ამ როლში? დღევანდელი მდგომარეობით ეს შეიძლება იყვნენ აშშ, რუსეთი, ჩინეთი. მათ შორის არის გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური დაპირისპირება, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ და მათგან საუკეთესო ალტერნატივა ჩვენს სასარგებლოდ ამოვარჩიოთ.

პირველ რიგში, სტრატეგიული პარტნიორობა შეიძლება შევთავაზოთ რუსეთს, ვინაიდან ეს იქნებოდა ყველაზე სწრაფი და მარტივი გზა ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრების აღსადგენად. რუსეთის ინტერესებშია სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე კავკასიონის ქედის სამხრეთით თითქმის 400 კმ მანძილზე (თურქეთამდე) ჰქონდეს საიმედო ბუფერული ზონა ძლიერი (ქართული) არმიით. რუსეთმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ქართული არმიის აღჭურვაში ორივე მხარისთვის მისაღებ ფასებში და ამით მატერიალურადაც ისარგებლოს.

პარალელურად ჩვენს ქვეყნებს შორის ინტელექტუალური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობა უფრო გაფართოვდება.

რუსეთი დღესაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანაა ტერიტორიით და უმდიდრესი წიაღისეულით. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, ხოლო ჩვენს მოკრძალებულ და უძვირფასეს კუთხეებს თავი დაანებოს.

რუსეთს კარგად უნდა ახსოვდეს ქართველი ერის წარმომადგენლობის დიდი ღვაწლი მათი ქვეყნის გაძლიერებაში: მეფე პეტრე პირველი, მამით ბაგრატიონი, მისი ბიძაშვილი – პირველი რუსი გენერალი და რუსეთის არტილერიის შემქმნელი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, რუსეთის სამამულო ომის გმირი, გენერალი პეტრე ბაგრატიონი, გენერალისიმუსი, იოსებ სტალინი, რუსეთის ატომურ ქვეყნად გადაქცევის მთავარი ორგანიზატორი ლავრენტი ბერია, რაკეტმშენებლები ალექსანდრე ნადირაძე, სერგო ბერია და სხვა მრავალი.

რუსეთმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ მთლიანად საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობით, მისი ინტელექტუალური, კულტურული, სამრეწველო პოტენციალის გამოყენებით, მასთან ვაჭრობით და მეგობრობით ბევრად უფრო მოგებული დარჩება, ვიდრე ახლანდელ აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან, რომლებიც დღეს მისთვის ზედმეტი მეჭეჭი, ტკივილი და თავსატეხია.

სულ ახლახან ზარ-ზეიმით გაიხსნა ზღვით გაყვანილი გაზსადენი ანაპიდან თურქეთამდე, რომელიც გაცილებით ძვირი დაუჯდა რუსეთს, ვიდრე ეს საქართველოს ხმელეთით დაუჯდებოდა. ვინმე გაბოროტებულმა ის რომ დაუზიანოს, ხომ წყალში ჩაეყრება მილიარდები? რამდენი ასეთი პროექტია შესაძლებელი საქართველოს ხმელეთზე, მაგალითად რკინიგზის გაყვანა თურქეთამდე, ირანამდე, ჩინეთამდე და სხვა მრავალი?

მთავარია, რომ ამ დროს რუსეთმა მხოლოდ თავის სასარგებლოდ არ იფიქროს, პრინციპით „А виноват ты в том, что хочется мне кушать“, არამედ საქართველოს ინტერესებიც თანაბრად გაითვალისწინოს.

რა არის საჭირო ამისთვის და ვინ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი? რა თქმა უნდა, რუსეთმა, იმიტომ, რომ ჩვენ უკან დასახევი აღარაფერი დაგვრჩა. „Ни шагу назад! Отступать некуда: позади Гори, Тбилиси!!!“

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის თანახმად, ყველა საბჭოთა რესპუბლიკა ფორმალურად ნებაყოფლობით შევიდა კავშირში, ხოლო სურვილის (სათანადო რეფერენდუმის) შემთხვევაში მას იქიდან გამოსვლაც შეეძლო. ავტონომიურ რესპუბლიკებს კი, მით უმეტეს ოლქებს, არ ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან ცალკე გამოსვლის უფლება. 1990 წლის 30 მარტის რეფერენდუმით საქართველოს უმრავლესობამ (მათ შორის აფხაზეთმაც, აჭარამაც და მაშინდელმა სამხრეთ ოსეთმაც) მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამიტომ რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და იძ კანონიერად ცნოს საქართველოს იურისდიქცია.

საქართველოს მხრიდან სრულიად სამართლიანია ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრების აღდგენა 1990 წლის მდგომარეობით. აფხაზეთში და სამაჩაბლოში განლაგებულ რუსეთის ჯარს შეიძლება დროებით (3-6 თვით) მიენიჭოს პოლიციისმაგვარი ფუნქცია, რათა მოხდეს დევნილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. ამის შემდგომ კი რუსეთის სამხედრო დანაყოფები უნდა გავიდნენ საქართველოს ტერიტორიიდან, მათი ადგილი კი საქართველოს პოლიციამ დაიკავოს.

როდესაც ყველა დევნილი დაბრუნდება თავიანთ სახლებში, შემდგომ ჩავატაროთ რეფერენდუმი და მოსახლეობამ თავად გადაწყვიტოს, სად უნდათ ცხოვრება: ცალ-ცალკე თუ ერთიან საქართველოში.

ამასთან, მოლაპარაკების დროს სამართლიანი იქნებოდა, საქართველოს გამოეთქვა პრეტენზია რუსეთის ფედერაციის მიმართ, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრისა, თავისი წილი 2%-ის გადმოცემაზე (8 მლრდ აშშ დოლარი), რომელიც დაბრუნებულ დევნილებს მოწყობაში მოხმარდება.

თავის მხრივ, საქართველო პირობას იძლევა, რომ არც ერთი გოჯი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიწისა უცხოელებზე არ გაიყიდება და მოხმარდება იქ მცხოვრებ მოსახლეობას.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არანაირად არ შეზღუდავს ეთნიკური აფხაზების რეპატრიაციას სხვა ქვეყნებიდან, არც ოსების დაბრუნებას თავიანთ წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში.

როდესაც მოქმედებაში შევა აკადემიკოს პაატა გიორგაძის პროგრამა საქართველოს გრუნტის წყლის გამოყენება-ექსპორტისა, ჩვენი ახლად შემოერთებული აფხაზებიც და ოსებიც ამ პროგრამიდან გამომდინარე, მრავალ ათასდოლარიანი აქციებისა და სხვა მრავალი სიკეთეების მფლობელები გახდებიან.

მათზეც გავრცელდება გარე სამყაროსთან საქმიანი ურთიერთობისა და ევროპასთან ვიზალიბერალიზაციით სარგებლობის სიკეთეები.

შეთავაზებული პირობები მთლიანობაში მისაღები უნდა იყოს რუსეთისთვისაც და თუკი ის ამ პირობებს დათანხმდება და დაუყოვნებლივ განახორციელებს მათ, მთელი მსოფლიო დარწმუნდება, რომ რუსეთთან უკვე შეიძლება ლაპარაკი. მათ შორის დაიწყება პროცესი მის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზეც და ერთ-ერთი ინიციატორი ამ საქმეში საქართველო იქნებოდა, რომელიც ამჟამად ევროპარლამენტის თავმჯდომარის რანგში იმყოფება.

ბოლო დროს გაჟონა ინფორმაციამ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აპირებს შეხვედრას ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებთან. ჩემი აზრით, ყველანაირად უნდა მივესალმოთ ასეთ შეხვედრას, იქნება ეს თბილისში, მოსკოვში თუ ნეიტრალურ ადგილას, ვინაიდან ყველა ომი, დროებით მაინც, ზავით მთავრდება ხოლმე, ხოლო ზავის გარეშე დარჩენა ომის გაგრძელებას ნიშნავს.

ბოლოს და ბოლოს საფრანგეთი და გერმანია დაზავდნენ რუსეთთან გრანდიოზული სამამულო და მსოფლიო ომების შემდეგ.

დიდი პოლიტიკოსების მიერ აღიარებულია, რომ კავკასიის რე-

გიონს აძვს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა: ვინც აკონტროლებს კავკასიას, ის აკონტროლებს მთელ აზიას, ხოლო ვინც აკონტროლებს აზიას, ის მართავს მთელ მსოფლიოს. ამ რგოლში საძართველო განიხილება როგორც კავკასიის გასაღები.

რუსეთიც მთლიანად იზიარებს ამ მოსაზრებას, ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან დღემდე და იგი ყოველთვის ცდილობდა, გამოეყენებინა საქართველო თავისი გლობალურ-იმპერიული მიზნებისთვის. ამიტომ, მოლაპარაკების დროს ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავარწმუნოთ რუსეთი, რომ მისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც ბევრად უკეთესი და მომგებიანია, რომ საქართველო იყოს თავისუფალი, ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი და გახდეს კეთილმეზობლობის, მეგობრობის, თანამშრომლობის, სიმბოლო და არა გლობალური დაპირისპირების კერა.

რუსეთი დღესაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანაა ტერიტორიით და უმდიდრესი წიაღისეულით. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, ხოლო ჩვენს მოკრძალებულ და უძვირფასეს კუთხეებს თავი დაანებოს.

თუკი რუსეთის ფედერაცია მიუკიბ-მოუკიბავად არ დათანხმდება ჩვენს წინადადებებს, ნეიტრალური საქართველო იძულებული გახდება, სთხოვოს თავისი უსაფრთხოების დაცვა აშშ-ს, რომელიც თანამედროვე ჯარის შექმნასა და აღჭურვაში კარგა ხანია, ეხმარება. საქართველო უფრო ინტენსიურად ჩართავს აშშ-ს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაში, მიიღებს მონაწილეობას მრავალ სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკურ პროექტში, რომლებსაც საფრთხის შემთხვევაში ამერიკელები ყველანაირად დაიცავენ.

ამ წინადადებებზე აშშ-ის უარის შემთხვევაში კი იგივე შეიძლება ჩინეთს შევთავაზოთ.

რაც შეეხება განზე დარჩენილი რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელებს, თუკი ისინი ხელიდან გაუშვებენ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დალაგების ხელსაყრელ შანსს და არ დაგვიბრუნებენ აფხაზეთს და სამაჩაბლოს, ჩვენს მთავრობას სრული უფლება ექნება, მოახდინოს რუსეთის ფედერაციის მთელი ქონების ნაციონალიზაცია, რომელიც მას ღიად თუ ფარულად მოპოვებული აქვს საქართველოში ჩვენი მოღალატე ჩინოსნების ხელშეწყობით.

ბოლოს და ბოლოს, არც ვლადიმერ პუტინია **„Кащей бессмертный“**, მიუხედავად მათი გასაოცარი მსგავსებისა. ადრე თუ გვიან, რუსეთის მთავრობაც შეიცვლება და ის გზა, რომელიც ჩვენი ორივე ქვეყნისთვისაა ბუნებრივად სასურველი და საუკეთესო, აუცილებლად გაიმარჯვებს.

ჩვენ კი არ უნდა „დავჩმორდეთ“, ახალ პარლამენტში ისეთი გუნდი მოვიყვანოთ, რომელსაც ქვეყნის გადარჩენის სტრატეგიული გეგმა აქვს, შეუძლია ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება, ქვეყნის შიდა მტრების, მოღალატეების გამოაშკარავება, დასჯა, ძლიერი ჯარის შექმნა.

ბევრი უდიდესი და უძლიერესი იმპერია უკვალოდ გამქრალა ისტორიის მანძილზე, საქართველომ კი იმიტომ გამოიარა შორი გზა ქადეეველებიდან და შუმერებიდან დღევანდელ მდგომარეობამდე, რომ მას აქვს უნარი, უმძიმეს, გამოუვალ, კრიტიკულ პირობებშიც კი ოპტიმალური გამოსავალი მოძებნოს. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც ასე მოხდება.

ღმერთი გვფარავდეს, ამინ!

თამაზ შიოშვილი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოჩენილი აფხაზის, პროფესორ სოკრატ არშბას მოწაფე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი კონსულტანტი უროლოგიის დარგში.

(ტელ. 595 536610)

გიქებთ ნამოღვაწარს...

ვულოცავთ გივი აბდუშელიშვილს!

მეგობრები (მარცხნიდან) გ. კუხალეიშვილი, რ. ლაბარტყავა, გ. აბდუშელიშვილი, ი. ქვარცხავა.

შეუჩერებელია დროის სრბოლა! არადა, რა დრო გასულა. 80 წელი, თითქოსდა 80 ნაბიჯი გადაგიდგამს ცხოვრებაში. მაგრამ როცა ყოველი დღე მუხლჩაუხრელ ჯაფასა და გარჯაში ხარ, როცა კეთილსინდისიერად ემსახურები ხალხსა და ქვეყანას, როცა სხვისი ტკივილი შენსაზე უფრო გაწუხებს და გულთან ახლოს მიგაქვს და მზად ხარ, საკუთარი პერანგი გაიხადო და შემოსო შიშველ-ტიტველი, მაშინ ეტყობა, დრო არ გრჩება, მიაყურადო, დრო როგორ სწრაფად გარბის.

ჩვენო სათაყვანებელო და საიმედო მეგობარო, გივი!

შენი ფოთელები გეფერებით და გილოცავთ სახელოვნად გავლილ გზას. მაგალითი ხარ ყველასათვის და ამიტომაც გვიყვარხარ. ბედნიერია ერი, ვისაც შენისთანა შვილი ეყოლება. განსაკუთრებული ეპითეტებით სპეციალურად არ გამკობთ, ვიცით, როგორ არ გიყვარს, ისედაც ყველამ იცის, რა ბაჯაღლო და ანდამატი ხარ.

ნაღდი ფოთელი და სახელოვანი დედ-მამის კიდევ უფრო სახელოვანი შვილი ხარ. გიქებთ ოჯახსა და შთამომავლობას, გიქებთ ნამოღვაწარს.

დიდი დღე მოგცეს ღმერთმა და ნეტარ იყვეს შენი მომავალი.

...რვა ათეული გაიარე,
ორი კიდევ გასავლელია,
რაც რომ იყო, ალალ იყოს,
რაც წინ გიძევს, ვალია...
აღელვებულა შავი ზღვა,
ტორტმანებს ტალღაზე ბაიდა.
თოლიები ნაპირს ასკდებიან,
ვოსარაიდა რაიდა...
მაფშალია ფრთა გაშალე,
ზღვა გაქვს გადასაცური.
მოაცურე ჩვენსკენ ბაიდა,
ვოსარაიდა რაიდა...

შენი მეგობრები ფოთიდან:

ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ილია ქვარცხავა;

ბავშვობის მეგობარი ომარ ხუხუნი;

თანაკლასელები: დალი ბოლქვაძე, ივეტა ბებია, დუმილი ლაგვილავა, გული კაკულია, ეთერ ჯგუბურია, როლანდ ლაბარტყავა, მარლენ კუხალეიშვილი, სოსო დევაძე, ჯემალ ნორაკია, გურამ აბრამია.

ზოგი ჭირი ნუთუ მართლა მარგებელია?!..

(მეორე გვერდიდან)

ამათ ფსიქოლოგიური გადახრის ახალი შტამი აქვთ – **„ძიმოკრატიულ-პრაძვინუტტული თვითგვემის სინდრომი“**, რასაც იწვევს მდაბიო სული, ინტელექტის სრული არქონა, პროვინციული იუმორი, არასრულფასოვნების კომპლექსი, სიხარულის და სიყვარულის სრული გაქრობა.

„წატით“ თქვენს დებილურ აზროვნებას მიახტა ღამურაჭამია ჩინელი!

ამ დროს კი საქართველოს მოსახლეობისთვის საკმაოდ საგულისხმო ტესტი შემოაგდეს ნაცებმა – ეს ორი დღეა, ყველა ვხედავთ გვარამიას თავს გადამხდარ „დამასკოს სასწაულს“ (როცა სავლე იქცა პავლედ).

არადა, ყველას კარგად გვახსოვს ნაცების მხრიდან მსგავსი **„ფერისცვალებების“** შესახებ გაკეთებული განცხადებები როგორც ე.წ. **„პარტიის რებრედინგის“,** ასევე **„დაშვებული შეცდომების“** შესახებ ზოგიერთ გადაცემაში „თხლად“ წამოსროლილი ფრაზები.

და ყველანი კარგად ვხვდებოდით, რომ ეს ყველაფერი კი ე.წ. კოჰაბიტაციის **„გაპრავების“** აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რაც ოცნების შემადგენლობის მენტალურად ნაცური აზროვნების ხალხისთვის ნაცებთან თანამშრომლობისთვის საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი იყო.

ბუნებრივია, საქართველოს მოსახლეობას არ სჯეროდა მსგავსი თაღლითობის, მაგრამ შინაგანი ტოლერანტული ბუნება, ნაცების პოლიტიკური სისუსტე (მაგ: აქციების კომიკურობა) და, რაც მთავარია, ნიჰილიზმი (ჩვენ ვინ გვეკითხება არჩევნების შედეგებს, რასაც დასავლეთი გვიბრძანებს, ისე იქნება), რაც უმთავრესად განპირობებულ იქნა მათი დასავლელი ლობისტების მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობის შესაბამისი შეფუთვით გადმოცემის მეშვეობით, მივიღეთ სავსებით ლოგიკური შედეგი.

მივიღეთ დესტრუქცია, მათი მედიასაშუალებების მხრიდან მოსახლეობის ფსიქოლოგიური დატერორება, პარლამენტის შტურმი, ქალაქის ცენტრის პარალიზება დაწყებული ე.წ. სამოქალაქო აქტივისტების მიერ ნარკოტიკების ლეგალიზაციის მოთხოვნებით მოწყობილი აქციით, საკანონმდებლო ორგანოსთან ცხოვრების მირეკვით (და სხვა მარაზმატული პერფომანსებით) დამთავრებული.

მივიღეთ მათი ლიდერების მხრიდან პოლიციელებზე, ჟურნალისტებზე და სამოქალაქო პირებზე აშკარა და დაუსჯელი ძალადობა. თამამად შეიძლება თქმა, რომ დღეს იგივე მეორდება (ყოველ შემთხვევაში მცდელობა აშკარაა). მათ დაინახეს, რომ მოსახლეობა ძალიან გაღიზიანდა მათი ყოვლად უსაფუძვლო (ძალიან რბილად ვამბობ) თავდასხმებით სხვადასხვა პროფესიის იმ ადამიანებზე, რომლებიც საზოგადოებაში სიყვარულსა და პატივისცემას იწვევენ და ცდილობენ გამოიყენონ **„ვითომდა ფერისცვალების“,** თაღლითური სქემა.

„აფთარი აფთრობას არ მოიშლის“!..

საყურადღებოა, წამოეგება თუ არა საქართველოს მოსახლეობა ამ ფანდს და რა პასუხს გასცემს ამ აფიორას.

შეიძლება ბატონ ლევან ნიკოლეიშვილის ეს ფეისბუქ-პოსტი ოდნავ აცდენილია კორონავირუსის თემას, მაგრამ ამ წერილში აუცილებლად უნდა ჩამესვა.

უნდა ჩამესვა, რადგან ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს წერილის დასაწყისში დაწერილ ფრაზას – **ხელისუფლება გვყავს!**

გვყავს და მიუხედავად ყველაფრისა კარგად მუშაობს.

„საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულში დაწინაურდა, აღმოსავლეთ ევროპაში კი პირველ ადგილზეა!

ამერიკული გავლენიანი და ლიდერი ორგანიზაცია ჰერითიჯ ფაუნდეიშენი, რომელიც 2020 წელს ნომერ პირველ სინქ თენქად დასახელდა, საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით, სასამართლო სისტემებს აფასებს ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: Judicial independence (სასამართლოს დამოუკიდებლობა), Quality of the judicial process (სასამართლო პროცესების ხარისხი), Favoritism in obtaining judicial decisions (მიუკერძოებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას). ამ ორგანიზაციამ სასამართლოს ეფექტურობის ინდექსის გამოქვეყნება 2017 წლიდან დაიწყო და უკვე მეოთხე წელია, რაც ამ ინდექსის მიხედვით, საქართველოს სასამართლო სისტემა ევროპის საუკეთესო ოცეულში ხვდება. ექსპერტიზის მიხედვით საქართველოს სასამართლო სისტემა ეფექტურობით ევროკავშირის 14 სახელმწიფოს უსწრებს – ესპანეთს, იტალიას, პოლონეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, უნგრეთს, მალტას, ლატვიას, საბერძნეთს, კვიპროსს, რუმინეთს, ბულგარეთს, სლოვაკეთს და სლოვენიას.

ახლა როგორც არ უნდა ატრიალონ ეს ინფორმაცია, მოქილიკეებმა, და არა ქვეყნის განვითარების მოსურნეებმა, ფაქტია, რომ ეს ჩვენი სასამართლო სისტემის და გატარებული რეფორმების კიდევ ერთი სერიოზული საერთაშორისო აღიარებაა“.

ახლა მე, უბრალო მოქალაქე, ვფიქრობ, ვის დავუჯერო, ამ ორგანიზაციას, თუ ჩვენს ოპოზიციას, რომელიც ყველაფერს უკუღმა გადააენეს ან საერთოდ გაატარებს ამ ამბავს? ვითომც არაფერი...

წერილს კი ჩვენი შესანიშნავი მოცეკვავის **თეა დარჩიას** სიტყვებით დავამთავრებ: **იკეტება ყველაფერი, საზღვრების ჩათვლით, მაგრამ ასე ერთიანი, მე ჯერ სამყარო არ მახსოვს.**



კორონა დამარცხდება. აუცილებლად დამარცხდება და ჩვენ ერთიანობით, სრული ინფორმაციითა და ნამდვილი, ახალი საქართველოს შენების იმედით გავაგრძელებთ ცხოვრებას.

გია გაბრიჭიძე

ბრძოლა ენგურზე

1921 წლის თებერვალი. ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმია ლევანდოვსკის მეთაურობით და სერგო ორჯონიკიძის კომისრობით ბაქოდან გამოდის და თბილისს იღებს. ეს არ კმარა. საქართველო მთლიანად უნდა „გაწითლდეს“. ამიტომ ტუაფსედან კიდევ ერთი არმია გამოდის აფხაზეთისა და სამეგრელოს დასალაშქრავად. შემდეგ სამტრედიაში უნდა შეერთდნენ ისინი და ერთიანი ძალებით „მიაცილონ“ ბათუმამდე საქართველოს მენშევიკური მთავრობა.

მარშით გამოიარა რუსეთის ბოლშევიკურმა არმიამ აფხაზეთის დასახლებული პუნქტები. ღამღამობით გადმოდიან ადიდებულ მდინარეებს: ფსოუს, გუმისთას, კოდორს, ღალიძგას. ფრთხილობენ მდინარის გადალახვისას. ჯერ ქვეითები შედიან ფონზე მდინარეში, შემდეგ ზარბაზნები შეაქვთ, ბოლოს ცხენოსნები — აღალთან ერთად.

წინააღმდეგობას არავინ უწევს. სულ რაღაც 80-კაციანი რაზმია სასაზღვრო ჯარების სახელწოდებით აფხაზეთში — მოახსენებენ რუს გენერალს. ის მაინც ფრთხილობს. ადიდებულ მდინარე ენგურთან გადასვლის წესს არ ცვლის. ისევ ღამით და ისევ იგივე წესით...

პირველი რაზმი, ქვეითთა შემადგენლობით, ზურგჩანთებითა და შაშხანებით დამძიმებული შედის გაყინულ, აქაფებულ მდინარეში. აქა-იქ მაშხალებით ანათებენ, წკვარამია ბნელი ღამისა. აქ მდინარე განიერია. ერთმანეთს არ უნდა მოწყდნენ ჯარისკაცები. ოც რიგად მიაპობენ ისინი წყალს. ნაპირიც გამოჩნდა. რამდენიმე გავიდა კიდევაც ხმელეთზე და ანიშნა მეორე ნაპირს — შეგიძლიათო მძიმე ტექნიკის გამოშვება.. გამოუშვეს კიდეც და...

ჰოი საოცრებავ! ელვის სისწრაფით წაეკიდა მდინარეს ცეცხლი. ალმოკიდებული წყალი უფრო ჩქარა წამოვიდა ჯარისკაცებისაკენ მთელი მდინარის სიგანეზე, ერთბაშად იგრიალა უამრავმა შაშხანამ, მეორედ, მესამედ... გამაყრუებელი კიჟინა... ცა ჩამოინგრა, ცივი წყალი დუღს, უზარმაზარმა, ააღებულმა ხის მორებმა წალეკეს თავზარდაცემული ჯარისკაცები. ნაპირზე მდგომი ჯარისკაცები ვერაფერს ხვდება.

ისროლონ?!

ვის ესროლონ?! წყალში ხომ მათი არმიელები არიან.

გაოგნებულნი უყურებენ უამრავ კაშკაშა ცეცხლთა გადაადგილებას მდინარეზე, რასაც თან ერთვის შაშხანების სროლა და გნიასი!

განცვიფრებულია არმიის სარდალი. რაღაც უნდა მოიფიქროს, მაგრამ რა? უნდა გაიგოს, რა ხდება მეორე ნაპირზე? ვინ ისვრის, ვინ ყვირის? მიუახლოვდა თვითონ ნაპირს. ცეცხლის ახალმა ენებმა ჩაუქროლეს მას და ისევ ისე მოულოდნელად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ.

* * *

შეჩერდა არმია. დაელოდნენ გათენებას. დათვალეს დანაკარგი. თითქმის მთლიანად დაღუპულა ჯარის ის ნაწილი, რომელიც წყალში იყო.

ნელ-ნელა დაიწყეს ინფორმაციის შეგროვება. მათი დაღუპული ჯარისკაცების გვამები კი მდინარეს გამოჰქონდა ნაპირზე — ზოგი ანაკლიაში, ზღვაშიც კი ამოტივტივდნენ ცხედრები.

ორი კვირა იდგა რუსეთის ჯარი ენგურს გაღმა, ვერ გაებედა წყალში შესვლა.

სამეგრელოში კი ხმა გავარდა: კაკა ჟვანიამ კაციჭამია ბოლშევიკები ენგურზე გაანადგურაო!

დამარცხებულებმა მალე დაადგინეს, რომ კაკა ჟვანიას სულ რაღაც 80-კაციანი რაზმი ჰყავდა, რომ მან მდინარის გადალახვის წინა დღეს ენგურის სანაპირო ტყეებში მორები დააჭრევინა თავის ჯარისკაცებს, ტივებად შეაკვრევინა და ზედ ფიჩხებიც დააყრევინა.

...80 შაშხანა ისროდა ერთდროულად იმ საბედისწერო ღამეს; 80 გულანთებული ქართველი ღრიალებდა ფიჩხზე ცეცხლწაკიდებულ ტივებზე ორ-ორად ჩასაფრებული...

ორი კვირის შემდეგ გაბედეს ბოლშევიკებმა ენგურის გადმოლახვა. გაიარეს ზუგდიდი. ქალაქის გასასვლელთან კი რუს გენერალს კაკას სახლი აჩვენეს,



კაკა ჟვანია (მარჯვნივ) და გვანჯი ჩიქოვანი

ლამაზი, ფიცრული ოდა. შიგ არავინ იყო. ტყეში გახიზნულან დედა, ცოლ-შვილი.

იდგა რუსი გენერალი კაკა ჟვანიას სახლის წინ მდუმარედ. ცეცხლს მისცეს თუ არა ეს სახლი? ამ ქვეყანაში ხომ ბოლშევიკების მტრებს მაინც არ დაედგომებათ!

თავის ოფიცერს უხმო. ჯარისკაცის დაყენება უბრძანა კაკას სახლთან, არავინ დააზიანოსო იგი და ხმამაღლა დასძინა: „ის ნამდვილი რუსი ოფიცერია!“, დააფასა კაკას გმირობა უცხოელმა.

დიახ, კაკა ჟვანია რუსეთის არმიის ოფიცერი იყო, და მერე როგორი... ოთხჯერ დაჭრილა იგი პირველ მსოფლიო ომში, ხოლო 1916 წლის 20 დეკემბერს რუმინეთში გერმანელებთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა.

1918 წელს ტყვეობიდან დაბრუნებული კაკა სამედიცინო კომისიამ ინვალიდად ცნო და პენსიაზე გაუშვა. ეს მოხდა ქალაქ მოსკოვის ლეფორტოვოს ჰოსპიტალში 1918 წლის 28 აგვისტოს.

რუსეთის ოთხი უმაღლესი ორდენით, მათ შორის წმინდა გიორგის ორდენით მკერდდამშვენებული და 90 პროცენტი შრომის უნარწართმეული კაკა ჟვანია იმავე 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში.

სენაკში, სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად, უჩა დადიანიც დახვდა მას. მუხლმოდრეკილი ეამბორა იგი ხელზე სახელმოხვეჭილ ოფიცერს და სთხოვა: დედათქვენს გადაეცითო ეს ამბორი ასეთი შვილის გაზრდისთვის. თან დაამატა: ამ ჯილდოებს სამეგრელოში ორნი ვფლობთო: მე, როგორც მეფე ნიკოლოზის ნათლული და თქვენ, როგორც ბრძოლის ველზე ქართული სამხედრო ნიჭიერების წარმომჩენელიო.

მენშევიკურმა მთავრობამ სიხარულით მიიღო სახელოვანი ოფიცერი და აფხაზეთში განლაგებული ჯარების უფროსად დანიშნა იგი. ეს ჯარი ის 80-კაციანი რაზმი იყო.

მოხდა ისე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ერთ-ერთი უპირველესი გმირი და მისი გმირობა, ჩადენილი ბოლშევიკური არმიის წინააღმდეგ, ჟამთა სვლამ შთანთქა.

კაკა ჟვანიამ კი მას შემდეგ 52 წელი იცოცხლა და ისე გარდაიცვალა 1973 წელს, რომ ერთხელაც კი არ მოუყოლია ვინმესთვის თავისი მხედრული გმირობის თავგადასავალი.

კაკა ჟვანია — ჩემი სახელოვანი წინაპარი, ზუგდიდის კოლორიტი, მშვენიერი მელექსე, ულამაზესი ვაჟკაცი, უებრო თამადა — პირველ მსოფლიო ომამდე 16 წელი ხელმძღვანელობდა სკოლას, რომელიც ჟვანიას სკოლის სახელით იყო ცნობილი. იმ დროისთვის უჩვეულო ჰუმანურობით გამოირჩეოდა სახელოვანი დირექტორი. მოსწავლე არასოდეს დაუსჯია თურმე. ამის თაობაზე ლეგენდებს ავრცელებდნენ მასზე შეყვარებული მოსწავლეები — აკადემიკოსი, ცნობილი კარდიოლოგი ნიკოლოზ ანთელავა, პროფესორები კოტე გრიგოლია, სურგულაძე, ვეკუა და სხვები.

ქართული ხალხური სიმღერის ჩინებულმა მცოდნემ, თავის მეგობრებსა და მოსწავლეებთან — ძუკუ ლოლუას, კირილე პაჭკორიას, რემა შელეგიას, კიწი გეგეჭკორს, ვანო ლაკერბაიასა და სხვა მრავალ მუსიკალურ მოღვაწესთან ერთად დიდი ამაგი დასდო მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციას. მათ ჯერ კიდევ 1930 წელს ზუგდიდში ჩაატარეს ხალხური სიმღერის პირველი რესპულიკური ოლიმპიადა.

უაღრესად განსწავლული, ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა შალვა დადიანთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, ლეო ქიაჩელთან, ალიო მირცხულავასთან, აკაკი ხორავასთან, გულწრფელად უყვარდა ისინი და ამაყობდა მათთან მეგობრობით.

ოციან წლებში ჩაის პირველი პლანტაცია გააშენა ზუგდიდში, რეგიონის ეკონომიკაზე ზრუნავდა. ამ კულტურის შემოტანისთვის კაკა ჟვანია 1969 წელს მოსკოვში ჩაიყვანეს ჩაის დღესასწაულზე.

ბაბუაჩემმა ასწავლა ზუგდიდის ფართო საზოგადოებას ჭადრაკის თამაში. ალბათ, ამიტომაც შეეგება იგი თბილისში მოსკოვიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ნონა გაფრინდაშვილს, ლექსიც კი უძღვნა მას.

თავის მეგობარ, მეორე სახელოვან მამულიშვილ გვანჯი ჩიქოვანთან ერთად ბევრი სიკეთე უკეთებია ბაბუას: ბევრი წაჩხუბებული შეურიგებია, ბევრი დანგრევის პირას მისული ოჯახი აღუდგენია, ბევრი უსამართლოდ დაჩაგრულისათვის დახმარება აღმოუჩენია.

ოთხმოცი წლისამ „ვეფხისტყაოსნიდან“ აფორიზმები გადმოამეგრულა. მერე ისე მოეწონა, რომ მიჰყვა და რუსთაველის 800 წლის იუბილესთვის მთლიანად თარგმნა ქართული ლიტერატურის შედევრი.

აღფრთოვანებული იყო ამ თარგმანით დიდი კონსტანტინე გამსახურდია, დაბეჭდვაში დახმარებას შეჰპირდა. სიცოცხლის ბოლომდე ხვეწდა თავის თარგმანს, ასე მაინც გადავურჩენო ქართულ ენას მეგრული ზეპირსიტყვიერების საგანძურს, ენათმეცნიერებს მაინც გამოადგებათო იგი.

უყვარდა მას რუსთაველი, უყვარდა ლიტერატურა, უყვარდა მუსიკა — განსაკუთრებით ხალხური.

ხუთი განათლებული ვაჟიშვილი გაზარდა, ერთი მეორეზე უკეთესი. ხუთივე დიდებული მამულიშვილი. ბევრი დაწერილა მათზე, კიდევ ბევრია დასაწერი.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ დღემდე არ იცის ბაბუაჩემის იმდროინდელი გმირობის ამგავი, იგი მაინც დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში. ამ სიყვარულის გამოხატულებაა ზუგდიდელების სურვილი, შექმნან კაკა ჟვანიას სახელობის ფონდი, დაარქვან კაკას სახელი მის ქუჩას, დაუდგან ქალაქში ძეგლი.

ჩემი მოკრძალებული სურვილი კი, ვფიქრობ, სრულიად საქართველოს ინტერესებს ეხმიანება: გამოვაჩინოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჩადენილი გმირობა, შევისწავლოთ და გავაშუქოთ ენგურზე გამართული ბრძოლა, არ დავუკარგოთ შთამომავლობას მისი სამშობლოს გმირული წარსულის კიდევ ერთი ფურცელი.

ვახში ჟვანია,
თბილისი,
ივლისი, 1999 წ.
(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“).

ქუთაისში 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს საკვებს სახლში მიუტანენ

ქუთაისის მერის გადაწყვეტილებით, „მადლიერების სახლის“ 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა ბენეფიციარებს სახლებში მოხალისეები მიაკითხავენ და საკვებს მიუტანენ.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 70 წელს ზემოთ საქართველოს მოქალაქეებისთვის გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომ მაქსიმალურად

მოერიდონ თავშეყრის ადგილებს და შეეცადონ, საკუთარი თავის იზოლაციას, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი საფრთხე მათი ჯანმრთელობისთვის. ამ რეკომენდაციის შესაბამისად, ქუთაისის მერიაში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ „მადლიერების სახლის“ 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა ბენეფიციარებს სახლებში მიუტანონ საკვები. პროცესში ჩართული არიან ქალაქის მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები და 80 მოხალისე.

რომანი - ერეკლე მეორის საფერი

„ᲐᲕᲘ ᲛᲣᲡᲐᲘᲤᲘ“ — ასე შეერქმეოდა ერეკლე მეორის ხმალს.

„ავი მუსაიფი“ — ასე დასათაურდებოდა ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ისტორიული რომანი („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო“ , 2018), რომელსაც კიდევ ერთხელ უნდა ჩავეფიქრებინეთ იმ ფენომენზე, რასაც ჩვენი ახალთაობის პროზა ჰქვია და საკმაოდ მძლავრ ნაკადადაც შერთვია ქართული ლიტერატურის მდინარებას.

ამ ნაკადში თუ რაიმე მოჩანს სახიერად, მათ შორის, ეს რომანიც, რომელიც ახალი საუკუნის ამ ორი ათწლეულის ბელეტრისტიკის მონაპოვართა შორის უნდა ვიგულისხმოთ ერეკლე მეორის უაღრესად მღელვარე და დრამატული თავგადასავლის შესაფერი თხრობით - რეალისტური მანერისა და ხედვის კუთხის მიღმა ხელშესახებად რომ იკვეთება სახელოვანი მეფის მონუმენტური პორტრეტი, რომანტიკული შარავანდით შემოსილი.

იყო დრო, წითელი დიქტატურის ჟამს, როდესაც ერეკლე მეორის ძრახვა გულისხმობდა ანტირუსული განწყობილების გამომჟღავნებას — სულ რომ არ გეხსენებინა მისი პოლიტიკური ნაბიჯები თუ გეორგიევსკის ტრაქტატი, ზოგადი დამუნათებაც სწორედ ამას მიანიშნებდა; და კონსტანტინე გამსახურდია, საჯაროდ რომ კილავდა ერეკლე მეორეს, ამით პროტესტს გამოხატავდა იმპერიული რუსეთის მიმართ, განსაკუთრებით — ბოლშევიკურ-კომუნისტურისა. და ხელისუფლება რომ წამოასევდა ხან ვის და ხანაც ვის, კახთბატონის ჯავრი კი არა ჰქონდათ (ოღონდაც მეფე, მონარქია მოგეხსენებინათ ავად და აუგად... და კიდეც დაგიმადლებდნენ!), არამედ კომუნისტურ რეჟიმს იცავდნენ ყოველგვარი ხელყოფისგან.

თავის დროზე ჰეროიკული სიმღერები რომ შეიქმნებოდა ერეკლეზე, ირმის ძუძუთი გაზრდილადაც რომ მოიხსენიებდნენ, ამით მითოსურ შარავანდშიც გაჰხვევდნენ და, ქვეყანა თავზე რომ არ დაგვმხობოდა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეგვენარჩუნებინა — საგმირო ეპოსის გმირადაც წარმოდგებოდა, ახლა იმ დაუწერელი ეპოსისა ნამსხვრევებსღა რომ ვკრეფთ.

ალექსანდრე ორბელიანი და მის კვალზე აკაკი წერეთელი დრამატულ თხზულებათა გმირად აქცევდნენ ჭაბუკ ერეკლეს, ვასილ ბარნოვი, ლევან გოთუა თუ ადამ ბობღიაშვილი ნოველებს მიუძღვნიდნენ, გერონტი ქიქოძე — მონოგრაფიას, ბიოგრაფიული რომანის ნიშნებით; და თუმც რომანებშიც: დავით კასრაძის „ერეკლეს ხმალსა“ და აკაკი ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალში“ — გამოჩნდებოდა, ოღონდ ერთ-ერთ პერსონაჟად და არა მთავარ გმირად, ამ მხრივ ალექსანდრე კალანდაძე რომ გამოიდებდა თავს „ნეიშნის ფიცის“ შექმნისას, თუმც რაკიღა ამ რომანს დაწერდა კარგი მკვლევარი და სუსტი ბელეტრისტი, თემა მოურეველი დარჩებობდა და... ერეკლე მეორე ვერა და ვერ გახდებოდა სრულფასოვანი ეპიკური ქმნილების მთავარი გმირი, ვიდრე ნოდარ მაჭარაშვილი არ მიუძღვნიდა ამ გამორჩეულ რომანს.

ძალიან საფრთხილოა და ძალზედ დიდი რისკის შემცველიც გამოჩენილ პიროვნებაზე რომანის დაწერა, რადგანაც მკითხველს — ისტორიულ წყაროთა წყალობით — თავის შეხედულება აქვს შექმნილი, უკვე მტკიცედაც შემუშავებული, და როგორ გინდა შენეული პორტრეტი მიიღოს და იწამოს!..

როდესაც გიორგი პირველი გამოგყავს პერსონაჟად, როგორ ბიოგრაფიასაც გინდა, ისეთსაც შეუთხზავ — მეტად მწირი ისტორიული ცნობების გამო მკითხველს არ შეიძლება შემუშავებული ჰქონდეს თავისი თვალთახედვა მასზე, მაგრამ... ერეკლე მეორე?.. ვისი

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ II

ცხოვრებაც მკითხველისათვის ზედმიწევნითაა ცნობილი?!.

ნოდარ მაჭარაშვილის ერეკლე მეორე ცხადია, განსხვავებულია მეტ-ნაკლებად დადგენილი პორტრეტისაგან, მაგრამ ისეთი ოსტატობით, ისეთი კოლორიტულობითა და სულის ხვეულებში ისეთი ღრმა შეღწევით იძერწება მთელი რომანის მანძილზე, უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველის თვალთახედვაზე, მით უმეტეს — მწერლისათვის მნიშვნელოვანია მეფის გარემოცვის რაც შეიძლება სრულყოფილი წარმოსახვაც, მის გარშემო მოტრიალე ადამიანებისა, პირველ ყოვლისა თეიმურაზ მეორის, დედოფალ თამარისა და ნადირშაჰისა, კახთბატონი თავის ერთ-ერთ აღმზრდელად რომ მიიჩნევდა და მისი გაკვეთილები კიდეც ძალიან გამოადგებოდა თავისი ქვეყნისთვის დაუმცხრალ ბრძოლებშიც და აღმშენებლობაშიც.

ზუსტად მიგნებული შტრიხებითა და ფსიქოლოგიური მონასმებით იხატებიან ისტორიული პირებიც — ანტონ კათოლიკოსი იქნება, გივი ამილახვარი, შანშე ერისთავი, სოლომონ იმერთა-მეფე... — თუ შეთხზული პერსონაჟები, საბოლოოდ მეტად მრავალფეროვანი და სისხლსავსე გალერეა რომ ჩაივლის ჩვენს თვალწინ.

რადგანაც „ავი მუსაიფი“ რომანია და არა ბიოგრაფიული რომანი, ნოდარ მაჭარაშვილი კომპოზიციის გათვალისწინებით გაჰყვებოდა მხატვრულ ლოგიკას და არ დაისაჭიროებდა, ვთქვათ, სოლომონ ლიონიძეს, მსაჯულს მეფისა, რადგანაც შეატყობდა, მისი შემოყვანა პერსონაჟად საგანგებო სიუჟეტურ ხაზს მოიყოლებდა და მტკიცედ შეკრული კომპოზიციური ქარგის საყრდენები შეესაძლოა, მოშლილიყო.

შესაძლოა, ამიტომ არ გაჰყვა ლევან ბატონიშვილის სიუჟეტურ ხაზსაც, რადგან ეს უფლისწულიც ვრცელ თხრობას მოითხოვდა, თუმც შავი ჭირის მსხვერპლად კი არ უნდა გამოეყვანა, ვინაიდან ლევან ბატონიშვილი რუსების დავალებით მოწამლეს მუხანათურად და თან — იმათ როგორც სჩვეოდათ — ჭორიც გაუვრცელეს: ქმრიან ქალთან რომ იმყოფებოდა, ქმარმა შეუსწრო და ხანჯლით განგმირაო... კიდევ კარგი, მალევე გაიფანტებოდა ეს ჭორი.

ეს იყო პირველი პოლიტიკური მკვლელობა, რაც რუსებმა ჩაიდინეს ჩვენში, და თუ ავტორი აერიდებოდა ამ ყველაფერს კომპოზიციის გულისთვის, სჯობდა, გაკვრით აღენიშნა: მოწამლეს და ასე გამოაცალეს ხელიდან ერეკლე მეორეს სახელმწიფოს ეს ბურჯიო.

კარგი იქნებოდა, ნოდარ მაჭარაშვილს გაეთვალისწინებინა ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტური პროზა, არაერთ საგულისხმო რეალიას რომ გვაწვდის ერეკლეს სამეფო კარის ცხოვრებაზე, მის კულუარებზე; აგრეთვე — მისი რეცენზია გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიულ მოთხრობაზე „ანუკა ბატონიშვილი“, კრიტიკულ შენიშვნებს რომ გამოთქვამს მოთხრობის პერსონაჟი ერეკლე მეფის მეტყველებასთან დაკავშირებითაც.

ალექსანდრე ორბელიანი გრიგოლ რჩეულიშვილს ედავებოდა როგორც რომანტიკოსი რეალისტს, მაგრამ არსებობს რეალიები და ნიუანსები, რომელთაც ერთნაირად უნდა აღიქვამდნენ თვით განსხვავებული ხედვისა და მხატვრული მრწამსისა და მანერის ადამიანებიც.

კარგი იქნებოდა ავტორი არიდებოდა უხეშ გამოთქმებსაც, ერეკლე მეორეს რომ მიაწერდა, მით უმეტეს — დედის გინებას. ასეთი რამ არ არსებობდა XVIII საუკუნის საქართველოში და არც XIX-ის დასაწყისში, ყველაზე დიდ გინებად ეს რომ მიიჩნეოდა: შე ასეთო, შე ისეთოო... დედის გინება რუსმა ოფიცრებმა და სალდათებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ჩვენშიც.

სხვათა შორის: სოლომონ მეფის მეორე ცოლი არ ყოფილა ქაჯაიას ასული, არამედ — ქაჯაიას ნაქვრივალი. აკაკი წერეთელს თავის „წვრილ-წვრილ ამბებშიც“ ერთ-ერთი ისტორიული მინიატიურა სწორედ ამ სათაურით აქვს შეტანილი: „სოლომონ მეფე და ქაჯაიას ნაქვრივალი“.

ახალი გამოცემისას შესაძლოა, ეს ყოველივე გაითვალისწინოს ნოდარ მაჭარაშვილმა, ალაგ-ალაგ ჩასუფთავება არ აწყენდა შესანიშნავ თხრობას.

...ჩემს სიყმაწვილეში ყველას გვქონდა ჩვენი საყვარელი ისტორიული რომანებიც, ქართულიც და უცხოურიც, დიდი ზეგავლენა რომ მოახდინეს ჩვენს სულიერ ჩამოყალიბებაზე.

და ეჭვიც არ მეპარება:

ნოდარ მაჭარაშვილის „ავი მუსაიფიც“ გადაიქცევა ჩვენი ყმაწვილების ერთ-ერთ საყვარელ წიგნად, მნიშვნელოვან გავლენას რომ მოახდენს მათ სულიერ ფორმირებაზე.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲖᲔ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ გამოცდებზე რეგისტრაცია მარტის დასაწყისში დაიწყო და თვის ბოლომდე გაგრძელდება. აბიტურიენტებს შესაძლებლობა აქვთ, 31 მარტამდე შევიდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის WWW.NAEC.GE ვებ გვერდზე და აირჩიონ მათთვის სასურველი უნივერსიტეტი.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) სტუდენტების პირველ ნაკადს წელს მიიღებს. უნივერსიტეტი აბიტურიენტებს მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებს სთავაზობს.

უნივერსიტეტის ცნობით, KIU-ში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოხდება და მომავალ სტუდენტებს, რომლებსაც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სურთ სწავლა, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში უნდა მიუთითონ უნივერსიტეტის კოდი — 197.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს ევროპული სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შემუშავებულია მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (TUM) თანამშრომლობით. წარჩინებული სტუდენტებისთვის კი გათვალისწინებულია სასწავლო და საცხოვრებელი გრანტები, სხვადასხვა სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამა.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) კამპუსი ქუთაისთან ახლოს, ეკოლოგიურად სუფთა ადგილას, 150 ჰექტარ მიწაზეა გაშენებული. კამპუსი მოიცავს: სრულად აღჭურვილ აკადემიურ კორპუსებს, სტუდენტურ საცხოვრებლებს, ბიბლიოთეკებს, კაფეტერიებს, კეთილმოწყობილ სასპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურას, საერთო სამუშაო სივრცეებს, საცხოვრებლებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. როგორც უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე თევზაძე აღნიშნავს, KIU იქნება საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც სწავლებაში ჩართული იქნებიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პროფესორები.

მოსკოვის „პოლიტიკური ხაფანგი“ – სტაბილურად არეული საქართველო

საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მოსკოვის მიზანია, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სათავეში მოვიდნენ ღია პრორუსული ორიენტაციის მქონე პარტიები. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი და ყირგიზეთი, რომლებიც რუსეთმა ეკონომიკური პერსპექტივის არმქონე, თუმცა უფრო პოლიტიკური მიზნების მატარებელ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გააერთიანა.

ამგვარი მიდგომა, რომლის თანახმადაც მოსკოვის მიზანი მხოლოდ ის იყოს, რომ საბჭოთა ქვეყნების სათავეში მოვიდნენ ღიად პრორუსული ორიენტაციის მქონე პარტიები, ჩემი აზრით, რეალურად არსებული ვითარების აშკარად გამარტივებული ხედვაა. სინამდვილეში, სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში შექმნილი ვითარება არაერთგვაროვანია. შესაბამისად, აუცილებელია, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევა ცალკე იქნეს განხილული.

ამ კუთხით, განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს საქართველო, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად გამოკვეთილი ევრო-ატლანტიკური ორიენტაციით ხასიათდება მაინც ვერ არის თავისუფალი ე.წ. „პრორუსულობის“ ფენომენისგან. შედეგად არა მარტო ძირითადი ოპოზიციური პარტიები („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისგან გამოყოფილი „ევროპული საქართველო“) ადანაშაულებენ სახელისუფლებო პარტიას – „ქართულ ოცნებას“ პრორუსულობაში, არამედ პირიქითაც – სახელისუფლებო პარტია თვლის, რომ ეს ძირითადი ოპოზიციური პარტიები მოსკოვის თამაშს თამაშობენ და ამდენად პრორუსული ორიენტაციის მატარებლები არიან.

პოლიტიკური „განქორწინების“ მიუხედავად, ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველო“ ადვილად პოულობს საერთო ენას, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ამის დასტურია 2018 წელს მათ მიერ (სხვა მცირეზომიან ოპოზიციურ პარტიებთან ერთად) საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ერთიანი კანდიდატის **გრიგოლ ვაშაძის** მხარდაჭერა. ასე რომ, არც მომავალშია გამორიცხული ამ ორი და სხვა მცირერიცხოვანი პარტიების ერთ საარჩევნო ბლოკში თუ საპარლამენტო კოალიციაში გაერთიანება.

უმთავრესი არგუმენტი, რასაც ოპოზიცია იყენებს „ქართული ოცნების“ პრორუსულობის დასამტკიცებლად, ის არის, რომ ამ პარტიის დამფუძნებელი და თაავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი** მილიარდერი რუსეთში გახდა, და, რომ დღესაც მას ისევ მართავს რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** რაშიც ოპოზიციამ „ქართული ოცნების“ მიერ სასამართლო და საარჩევნო სისტემების რეფორმირებაში დაშვებული შეცდომების გამო საქართველოს მეგობარი ამერიკელი კოლეგებიც კი დაარწმუნა.

„ქართული ოცნების“ მხრიდან კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისგან გამოყოფილი პარტიების პრორუსულობის ბრალდება ეფუძნება იმას, თუ როგორ დაეხმარა ვლადიმერ პუტინი სააკაშვილს 2003 წლის ვარდების რევოლუციის განხორციელებასა და 2004 წელს აჭარის პრობლემის მოგვარებაში, საქართველოს სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაშვებული შეცდომების გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუციური მოდელის მქონე საქართველოში უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რას ელის მოსკოვი ამ არჩევნებში, როგორი პოლიტიკური ძალების მოსვლა აწყობს მას საქართველოს ხელისუფლებაში.

ოპოზიციის მოსკოვისეულ „პოლიტიკურ მენიუში“, რომელიც საქართველოსთვისაა განკუთვნილი, მრავალფეროვანი არჩევანია: ღია პრორუსული ორიენტაციის მქონე პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“, პატრიოტულ მოტივებზე დაფუძნებული და იმავდროულად რუსეთთან აქტიური თანამშრომლობის მომხრე „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, და საჯაროდ გაცხადებული პროდასავლური ორიენტაციის მქონე პარტიები „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“. საყურადღებოა, რომ სახელისუფლებო პარტია – „ქართული ოცნება“ საჯაროდ ასევე პროდასავლურ ორიანტაციას აღიარებს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ პოლიტიკური „ლანდშაფტიდან“ ერთობ ამოვარდნილია ახალდადაფუძნებული პარტია „ლელო“, რომელიც თავის მოწოდებებით ღიად პროდასავლურია და თანაც მის წარსულს პოლიტიკური „ტვირთი“ დიდად არ ამძიმებს. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ამ პარტიის დამფუძნებლები და ლიდერები არიან საქართველოს იმ ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის ხელმძღვანელები, რომელიც ქვეყანაში აღქმულია, როგორც არაერთი ადამიანის გაკოტრებაში უმთავრესი „დამნაშავე“. აქედან გამომდინარე, პარტია „ლელოს“, სავარაუდოდ, გაუჭირდება საპარლამენტო არჩევნებში სერიოზული წარმატების მიღწევა.

თუკი გამოვალთ იმ გავრცელებული მოსაზრებიდან, რომ მოსკოვის მიზანი არის ხელისუფლებაში ღია პრორუსული ორიენტაციის მქონე პარტიის მოსვლა, მაშინ გამოდის, რომ კრემლმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა 2019 წლის ბოლოს ხელი არ შეუწყო ქართველ ამომრჩეველში პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ პოპულარობის ზრდას. კერძოდ, 2019 წლის ნოემბერში საოკუპაციო ხაზის გადაკვეთისთვის უკანონოდ დაკავებული ქართველი ექიმის **ვაჟა გაფრინდაშვილის** გასათავისუფლებლად ამ პარტიის თავმჯდომარემ, ქ-ნმა **ნინო ბურჯანაძემ** დეკემბერში მოსკოვში ვიზიტის შემდეგ სრული დამაჯერებლობით საჯაროდ განაცხადა, რომ მოსკოვი ექიმს უკანონო პატიმრობიდან არაუგვიანეს 13 დეკემბრისა გაათავისუფლებდა. ეს რომ მართლაც ასე მომხდარიყო ქ-ნ ნინო ბურჯანაძის და მისი პარტიის ავტორიტეტი და პოპულარობა ამომრჩეველში აშკარად გაიზრდებოდა.

სინამდვილეში კი ეს ასე არ მოხდა და საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებული ექიმი მხოლოდ 28 დეკემბერს გაათავისუფლეს. სხვა სიტყვებით, 28 დეკემბერს ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება ვერანაირად ვერ ჩაითვლება ქ-ნ ნინო ბურჯანაძის დამსახურებად.

რას გვასწავლის ეს შემთხვევა?

მოსკოვის მიზანი რომ იყოს ღიად პრორუსული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა, ის არ მოატყუებდა ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს და როგორც შეჰპირდა მას, ექიმ გაფრინდაშვილს არაუგვიანეს 13 დეკემბრისა გაათავისუფლებდა. ეს კი სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას:

იმ შემთხვევაში, თუკი ღიად პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური პარტია მოვა საქართველოს ხელისუფლებაში, მაშინ მოსკოვი იძულებული გახდება, თბილისთან მიმართებაში წავიდეს გარკვეულ დათმობებზე, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მიწა-წყლის მთლიანობის აღდგენის მიმართულებით. ეს კი მოსკოვის მიზნებში ნამდვილად არ შედის. რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს მიწა-წყლის ოცი პროცენტი და ეს მისთვის სავსებით საკმარისია საქართველოში საჭიროების შემთხვევაში გამოიწვიოს სერიოზული არეულობა.

ამიტომ მოსკოვს ურჩევნია ღიად პრორუსული პარტიები უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ შედარებით მცირე ფრაქციებით, ხოლო თუ ეს ასე არ იქნება, არც ეს იქნება კრემლისთვის დიდად დასანანი...

მოსკოვისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოში მკვიდრად შეინარჩუნოს არეული პოლიტიკური ვითარება, რაც შეაფერხებს ქართული სახელმწიფოს განმტკიცებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. არეულ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს გაწევრება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში კი პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

მოსკოვის მიზანია, რომ იმის მიუხედავად, თუ როგორ ჩატარდება და რა შედეგით დასრულდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, ამან ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავებას, პოლიტიკურ პარტიებს შორის შეურიგებელ დაპირისპირებას. ამ მიზნის მისაღწევად მოსკოვი ნებისმიერ ხერხს გამოიყენებს, მათ შორის, მისთვის უკვე ტრადიციულ კიბერშეტევებსაც. კიბერშეტევა, რომელიც საქართველოზე 2019 წლის შემოდგომაზე განხორციელდა, სულაც არ არის გამორიცხული, ჩაითვალოს „გენერალურ რეპეტიციად“ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ჩასარევად.

კრემლის არსენალში ვითარების ასარევად, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილიც** უნდა მოვიაზროთ. მისი ფაქტორი წარმატებით გამოიყენება, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაშიც, იმისდა მიხედვით, თუ სად, როდისაა ვითარების გამძაფრება აუცილებელი.

იმისთვის, რომ საქართველომ თავი დააღწიოს მოსკოვის „პოლიტიკურ ხაფანგს“ და ქვეყანას თავიდან ააცილოს მორიგი არეულობა, აუცილებელია, რომ მთავრობამ ყოველგვარი გაყალბებების გარეშე, მაქსიმალურად დემოკრატიულად და სამართლიანად ჩაატაროს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, ხოლო ოპოზიციამ იქონიოს მხედველობაში, რომ არეულობა საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, კრემლის მიზნებშია.

ამ კუთხით დამაიმედებელია თბილისში აკრედიტებული ზოგიერთი ქვეყნის (აშშ, ევროკავშირი, გერმანია, და სხვ.) საელჩოს აქტიური მონაწილეობით 8 მარტს მიღწეული შეთანხმება დაპირისპირებულ პარტიებს შორის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სისტემასთან დაკავშირებით.

ვლადიმერ (ლადო) პაპავა,
აკადემიკოსი

დამნაშავე ისევ რუსეთია

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ სირიაში თურქი ჯარისკაცების გარდაცვალებაში პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ სირიელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ახალი დამატებითი სანქციები ამოქმედდება. აღნიშნულ საკითხზე საუბრის დროს კი ამერიკელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ იდლიბის პროვინციაში თურქი ჯარისკაცების გარდაცვალებაში პასუხისმგებელი რუსეთია, რომელიც ირანთან ერთად ასადის რეჟიმს უჭერს მხარს. სირიაში, იდლიბის რეგიონში ავიაიერიშის შედეგად 34 თურქი ჯარისკაცი გასულ თვეში დაიღუპა. ანკარამ პასუხისმგებლობა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის რეჟიმს დააკისრა.

აფგან მუხთარლი თავისუფალია

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ცნობილი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი გაათავისუფლა. ამის შესახებ ინფორმაციას ჟურნალისტის ძმა რამაზან მუხთარლი ავრცელებს. როგორც „Meydan TV“ იუწყება, 17 მარტს მუხთარლი, გათავისუფლების შემდეგ, ციხიდან პირდაპირ გერმანიაში გაამგზავრეს, სადაც მისი ცოლი ლეილა მუსტაფაევა ცხოვრობს.

აფგან მუხთარლი, 2015 წლიდან ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობდა, საიდანაც 2017 წლის 29 მაისს ნიღბიანმა პირებმა გაიტაცეს და ფარულად აზერბაიჯანს გადასცეს. ჟურნალისტი გატაცების ორგანიზებაში საქართველოს ხელისუფლებას და შსს-ს კრიმინალურ პოლიციას ადანაშაულებდა. მუხთარლის თქმით, პრემიერმა კვირიკაშვილმა ილჰამ ალიევის ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა.

2018 წელს აზერბაიჯანის სასამართლომ ჟურნალისტს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2017 წლის ოქტომბრიდან სწორედ გერმანიაში ცხოვრობს აფგან მუხთარლის მეუღლე ლეილა მუსტაფაევა შვილთან ერთად. აფგან მუხთარლის და ლეილა მუსტაფაევას საქმეს საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო იხილავს.

ჩინეთი ვირუსის შესაკავებლად ფულს ასუფთავებს და ანადგურებს

ჩინური ბანკები ამიერიდან ახალ წესებს უნდა დაემორჩილონ: მათ ნაღდი ფულის დეზინფექცია ულტრაიისფერი სხივებითა და მაღალი ტემპერატურით უნდა მოახდინონ, შემდეგ კი ბანკნოტები 7-14 დღის განმავლობაში უნდა შეინახონ, სანამ ბრუნვაში თავიდან ჩაუშვებენ. ცენტრალური ჩინეთის მთავრობამ ამის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გაავრცელა.

ამ ახალმა ზომებმა კორონავირუსის გავრცელებას ხელი უნდა შეუშალოს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებით, კორონავირუსი, რომელსაც Covid-19 უწოდეს, მყარ ზედაპირზე რამდენიმე საათის განმავლობაში ცოცხლობს. ამის გამო საფრთხის შემცველ ტერიტორიებზე ლიფტის ღილაკებს, კარის სახელურებს და საერთო სივრცეს გამუდმებით უკეთებენ დეზინფექციას. შესაბამისად, უფრო და უფრო მეტი მოქალაქე ღელავს ნაღდ ფულზე, რომელიც ხელიდან ხელში გადადის.

ნაღდი ფული, რომელიც საავადმყოფოებიდან ან ბაზრობიდან მოდის, გაწმენდას არ ექვემდებარება. მას ცენტრალური ბანკი ანადგურებს.

იმისთვის, რომ ფულის დეფიციტი არ შეიქმნას, ბანკი ახალ, „სუფთა“ ბანკნოტებს გამოუშვებს. მხოლოდ იანვარში 4 მილიარდი იენის, ანუ 457.3000-ის ეკვივალენტი ბანკნოტები დაიბეჭდა უხანისთვის. მთავრობა ცდილობს, მინიმუმამდე დაიყვანოს ნაღდი ოპერაციები და მოქალაქეებს ციფრული ანგარიშსწორებისკენ მოუწოდებს.

უცნობია, რეალურად რამდენად საშიშია „ინფიცირებული“ ფული — ვირუსი რამდენიმე საათის შემდეგ კვდება, დეზინფექცია კი სავსებით საკმარისი უნდა იყოს, თუმცა, როგორც ჩანს, ჩინეთს გარისკვა არ სურს.

2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ნაღდი ფული ძალიან ბინძურია. თითოეული ბანკნოტი შეიცავს იმ გარემოს ნაწილაკებს, სადაც მანამდე იყო და ეს ნაწილაკები ადამიანებიდან ადამიანებს გადაეცემა.

მაგალითად, დოლარის კუპიურებზე შეგიძლიათ, ნახოთ ცხოველების დნმ, ნარკოტიკების კვალი, ასობით სახეობის ბაქტერია და ვირუსები. ფულზე დაკვირვებით იმის გაგებაც კი შეიძლება, რომელ რეგიონში უმეტესად რა ტიპის საკვებს ჭამენ. **კორონავირუსით დაავადებულთა რიცხვი ამჟამად 7.1000-ს აღწევს, დაღუპულია 1.775 ადამიანი.**

კორონავირუსის ეპიდემია მსოფლიოში ნამლების ფასების ზრდას გამოიწვევს

ჩინეთში, სადაც კორონავირუსის პანდემიის გამო, საგანგებო მდგომარეობაა შემოღებული, სამედიცინო პრეპარატების ინგრედიენტების უდიდესი წარმოებებია განთავსებული. ჯენერიკების მწარმოებლები 70 პროცენტით ჩინურ სუბსტანციებზე არიან დამოკიდებულნი. ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ მათი მოწოდების შემცირების სამედიცინო პრეპარატებზე 10-40-პროცენტიან მატებას გამოიწვევს.

საგანგებო მდგომარეობა: ყოფითი და პოლიტიკური მხარეები

ახალი ტიპის კორონავირუსის გამო აშშ-სა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. რაც შეეხება საქართველოს, როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ მიანიშნა, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში აღინიშნება ახალი ტიპის ვირუსის ე.წ. მეოთხეული გადაცემა, შესაბამისი ზომები იქნება მიღებული: **„მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთან დაფიქსირდება პაციენტი, რომლის წყაროც არ იქნება იდენტიფიცირებული და ეს წარმოშობს ეჭვს, რომ უკონტროლოდ ვრცელდება ვირუსი, ჩვენ შესაბამის ზომებს მივიღებთ“.**

მანამდე მთავრობა მოქალაქეებს მოკლე ტექსტური შეტყობინებებითაც აფრთხილებს, დაიცვან ჰიგიენის წესები, გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე მოერიდონ გარეთ გასვლას, განსაკუთრებით — 60 წელს გადაცილებული მოქალაქეები, საჭიროებისას დაიცვან თვითიზოლაციის წესები, მაღალი სიცხისა და ხველისას კი მიმართონ ექიმს (სასურველია სატელეფონო კონსულტაცია).

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში მსგავსი რეკომენდაციების შესრულება უკვე სავალდებულო გახდება.

როგორც **„აქცენტთან“** საუბრისას კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** განმარტავს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუცია იძლევა შესაძლებლობას, შეიზღუდოს ან შეჩერდეს ადამიანის ზოგიერთი კონსტიტუციური უფლება. ამასთან, რომელი უფლება იზღუდება და რომელი ჩერდება, — ეს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზეა დამოკიდებული და მთავრობა წყვეტს. იქვე მიმართავს პრეზიდენტს შესაბამისი წინადადებით, პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში კი წინადადება უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოსცეს დეკრეტი (იგივე პროცედურით, რომლითაც ცხადდება საგანგებო მდგომარეობა), რომელიც კანონის ძალის მქონე აქტად მიიჩნევა.

„საგანგებო მდგომარეობის დროს შეიძლება, შეიზღუდოს გადაადგილების უფლება. მაგალითად, იტალიაში ერთ-ერთი შეზღუდვა სწორედ გადაადგილების უფლებას ეხება: მოქალაქეებს შინიდან აუცილებლობის (სურსათის შესაძენად, წამლის საყიდლად და ა.შ.) გარეშე გასვლა ეკრძალებათ. მსგავსი შეზღუდვების ხარისხი შესაძლოა, იყოს განსხვავებული. შეიძლება, შეიზღუდოს ინფორმაციის თავისუფლებაც. მთავარია, რომ შეზღუდვები არსებული ვითარების თანაზომიერი უნდა იყოს — ხელი უნდა შეუწყოს არსებული პრობლემის გადაჭრას; არ უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოშია შესაძლებელი“ — განმარტავს ხმალაძე.

როგორც კონსტიტუციონალისტი აღნიშნავს, ვინაიდან პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტი კანონის ძალის მქონე აქტია, იგი შესასრულებლად ისევეა სავალდებულო, როგორც კანონი. შესაბამისად, რა ტიპის სანქციაც მოჰყვება კანონის ამა თუ იმ ნორმის დარღვევას, იგივე იმუშავებს დეკრეტის შემთხვევაშიც.

პოლიტიკური პროცესი

როგორც ცნობილია, ოპოზიცია და მმართველი გუნდი საარჩევნო სისტემის 120/30 მოდელზე შეთანხმდნენ, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებს საჭიროებს, საკონსტიტუციო ცვლილებების თანამდევი პროცესი ცვლილებათა პაკეტის საყოველთაო სახალხო განხილვაა. მასობრივი შეკრებები ამ ეტაპზე რეკომენდებული არ არის, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში კი შესაძლოა, აიკრძალოს კიდეც. თუმცა, როგორც კონსტიტუციონალისტი განმარტავს, მსგავს ვითარებაში ალტერნატიული გზა არსებობს:

„საყოველთაო სახალხო განხილვების ფორმა კანონით არაა განსაზღვრული და მისი შერჩევა პარლამენტის მიერ შექმნილ კომისიაზეა დამოკიდებული. ეს განხილვები ჩვენთან ტრადიციულად დახურულ დარბაზებში იმართება, თუმცა შესაძლებელია, სხვა სახითაც ჩატარდეს: ინტერნეტის მეშვეობით. ჩემი აზრით, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაშიც, თუ შეხვედრებზე შეზღუდვები დაწესდება, რადგან სხვაგვარად საარჩევნო სისტემის შეცვლა შეუძლებელი გახდება, ეს კი ქვეყნისთვის კარგი არ იქნება“.

რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდს, ხმალაძის აზრით, საარჩევნო კამპანია შესაბამის რეჟიმში წარიმართება იმისდა მიხედვით, რა ტიპის შეკრებები აიკრძალება, ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით კამპანიის წარმოება არ იქნება პრობლემური.

ხოლო თუ საგანგებო მდგომარეობა დაემთხვა პერიოდს, როდესაც უნდა დაინიშნოს არჩევნები, კონსტიტუციის თანახმად, უშუალოდ საგანგებო მდგომარეობის დროს არჩევნები არ იმართება.

საგანგებო მდგომარეობის უარყოფითი მხარეები

საგანგებო მდგომარეობა ცხადდება კრიზისულ სიტუაციებში, პანდემიები კი კრიზისის ერთ-ერთ ფორმად არის მითითებული. ნებისმიერ კრიზისს თან ობიექტური უარყოფითი შედეგები ახლავს: ადამიანებს ამა თუ იმ უფლების გამოყენების შესაძლებლობა ეზღუდებათ; შეზღუდვის გამო რიგი ეკონომიკური აქტივობების განხორციელება შეუძლებელია, რასაც თავისი უარყოფითი შედეგები მოჰყვება; საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაც კი, თუნდაც შეზღუდვები არ იყოს დაწესებული, უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე, ჩნდება გარკვეული შიშები, ეს მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას...

თუმცა როგორც ვახტანგ ხმალაძე განმარტავს, ყველაფერი შეფასებითია: **უნდა შევაფასოთ, რა იქნება საზოგადოებისთვის ნაკლები ზიანის მომტანი — საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, თუ არგამოცხადება და გადაწყვეტილება შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული.**

მსოფლიო უჩინარ მტერთან ომშია ჩართული

კოლუმბიაში **რეგისტრირებულია ახალი კორონავირუსის 75 შემთხვევა. დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტმა ივან დუკემ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ განაცხადა.**

კოლუმბიის ლიდერმა ასევე 70 წელს გადაცილებული პირების სავალდებულო იზოლაციის რეკომენდაცია გასცა. საგანგებო ზომები 31 მაისამდე იმოქმედებს. რაც შეეხება ბოლივიას, პრეზიდენტმა ჟანინ ანიესმა საზღვრების ჩაკეტვისა და კომენდანტის საათის დაწესების განკარგულება გასცა. კომენდანტის საათი 31 მარტამდე გაგრძელდება. ბოლივიაში ახალი კორონავირუსის 12 შემთხვევა არის გამოვლენილი.

* * *

არდადეგები 23 მარტიდან 12 აპრილამდე გამოცხადდა. რუსეთის განათლების მინისტრის თქმით, ორგანიზებული იქნება დისტანციური სწავლება.

ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში კორონავირუსის 114 შემთხვევაა დადასტურებული. დაავადება გამოვლენილია ქვეყნის 26 რეგიონში.

* * *

ბელგიის **მთელ ტერიტორიაზე 18 მარტიდან კარანტინი ცხადდება. ინფორმაციას ამის შესახებ „ბიბისი“ ავრცელებს.**

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სოფი ვილმესის განცხადებით, 18 მარტს ადგილობრივი დროით შუადღიდან ქვეყნის ყველა მცხოვრებს კარანტინში ყოფნა მოუწევს. საგანგებო ზომები მინიმუმ 5 აპრილამდე იმოქმედებს. იკრძალება საზოგადოებრივი შეკრებები. სახლების დატოვებას მოქალაქეები მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში შეძლებენ, ასევე საკვებისა და მედიკამენტების შესაძენად, ან საფოსტო ოფისსა და ბანკებში აუცილებელი ვიზიტისთვის. ამავე დროს, დასაშვებია ჰაერზე ვარჯიში, თუმცა მოქალაქეებს სულ მცირე 1,5 მეტრის დისტანციის დაცვას ურჩევენ.

* * *

კორონავირუსის **გამო, ევროკავშირის საზღვრები 30 დღით დაიკეტება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის. ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ევროკავშირის ლიდერებთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა.**

როგორც ცნობილია გამონაკლისი დაიშვება გრძელვადიანი ბინადრობის მქონე რეზიდენტებისთვის, ევროკავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრებისთვის, დიპლომატისთვის, ჯანდაცვის სფეროს მუშაკებისთვის, სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები იმ პირებისთვის, ვინც ევროკავშირის ტერიტორიაზე მუშაობს, ასევე იმ ადამიანებისთვის, ვინც ტვირთების გადაზიდვას უზრუნველყოფს.

* * *

ადამიანებმა, რომლებიც ეჭვობენ, რომ კირონავირუსი აქვთ, იბუპროფენი ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ უნდა დალიონ. ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტიან ლინდმაიერმა განაცხადა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დამტკიცებული კავშირი ანთების საწინააღმდეგო პრეპარატის მიღებასა და სიკვდილიანობის გაზრდილ მაჩვენებელს შორის, ექსპერტები ამ საკითხს იკვლევენ. ამავდროულად იგი რეკომენდაციით გამოვიდა, რომ თვითმკურნალობის შემთხვევაში დაშვებულია პარაცეტამოლის და არა იბუპროფენის მიღება.

◎ ვერდიქტი ვერდიქტია!

ფეხბურთისთვის ასე ჯობდა

როგორც მოსალოდნელი იყო, კორონავირუსის პანდემიის გამო ევრო – 2020 გადაიდო და იგი, სავარაუდოდ, გაისად ზაფხულში გაიმართება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ და, რაც მთავარია, რამდენად სწრაფად დაამარცხებს კაცობრიობა XXI საუკუნის „შავ ჭირს“, უკვე 8 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა და 200 ათასამდე დაინფიცირა.

ცხადია, ტრაგიკულად განვითარებულმა მოვლენებმა არც ქართულ საფეხბურთო ცხოვრებას აუქცია გვერდი და 26 მარტისთვის თბილისში დანიშნულმა ერთა ლიგის პლეი-ოფმაც ბელარუსთან ივნისადმე გადაიწია. რა თქმა უნდა, ესეც საუკეთესო შემთხვევაში (გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – დღეს ბელარუსში ქვეყნის ჩემპიონატი იწყება).

დაგვეთანხმებით, ეს იყო საუკეთესო ვარიანტი შექმნილ ფორსმაჟორულ ვითარებაში, რადგან ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში, ზოგადად, და კონტინენტური ფორუმისაკენ ისტორიაში პირველად მიმავალ ბილიკზე, კონკრეტულად, თვით ფეხბურთის არსს ეწინააღმდეგება.

„ჯვაროსანთა“ ქომაგებს გაახარებთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებული განცხადებაც, რომლის თანახმადაც **„აღნიშნულ მატჩზე დასასწრები ბილეთების მფლობელ გულშემატკივრებს მათი შენარჩუნება შეეძლებათ და მას შემდეგ, რაც დაზუსტებული თარიღი გახდება ცნობილი, არსებული ბილეთით შევლენ სტადიონზე“.**

სანაკრებო თემასთან დაკავშირებით დავძენთ, რომ მომავალი წლისთვის გადაიტანეს კოპა ამერიკაც, რომელსაც არგენტინამ და კოლუმბიამ უნდა უმასპინძლონ, თანაც იმავე ვადებში პარალელურად – ივნის-ივლისში.

რაც შეეხება საკლუბო სეზონს, უეფამ დაადგინა: **„იგი უნდა დასრულდეს 30 ივნისის ჩათვლით და შესაძლებელია, შიდა ჩემპიონატების მატჩები შუა კვირაში ჩატარდეს, ხოლო ევროტურნირების შეხვედრები – შაბათსა და კვირას.**

თუ დასახელებული ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება ბრძოლის დასასრულებლად, გამორიცხული არაა ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის საკვალიფიკაციო რაუნდების ადაპტირება საგაისოდ!“

სხვათა შორის, როგორც პოპულარული ესპანური გამოცემა „მარკა“ გვაუწყებს, ევროპა ლიგის ფინალი 24 ივნისს მოეწყობა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ვინაობას 27 ივნისს შევიტყობთ. საინტერესოა, რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია.

ასევე გაირკვა, რომ ფიფა მოგვიანებით დაადგენს, სად და როდის გაიმართება ახალი ტურნირი – მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, რომელიც გაფართოებული ფორმატით – 24 გუნდის მონაწილეობით 2021 წლის ზაფხულში ჩინეთში უნდა ჩატარებულიყო.

გიორგი ზოთაძე

◎ სუმო

პროგრამა - მინიმუმი შესრულებულია!

ჰარუ ბაშოს მე-11 საშეჯიბრო დღეს ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინი დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა კაგაიაკის დაუპირისპირდა და მისი დამარცხება მაცდური ილეთით – ტატაკიკომით (ჰენკა) მოახერხა.

ლევანმა ბრძოლის დაწყებისთანავე აარიდა თავი შეჯახებას, მეტოქეს კი სისწრაფე ჰქონდა აკრეფილი და წონასწორობა ვეღარ შეიკავა. ეს აღნიშნული წყვილის მე-5 დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც ქართველმა სუმოისტმა ყველა მოიგო.

ამრიგად, ჩვენებურს გაზაფხულის პირველ სუპერტურნირზე 5 მოგების საპირისპიროდ 6 მარცხი გაუხდა და მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი ბალანსი აქვს, ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში ადგილი უკვე დაიჯავშნა.

შეგახსენებთ, რომ გორგაძე დადებითი ბალანსის შანსსაც ინარჩუნებს, ამისთვის კი მან დარჩენილი 4 ორთაბრძოლიდან 3 უნდა მოიგოს. ტოჩინოშინის დღევანდელი მეტოქე დასავლეთის მე-15 მაეგაშირა ჩიიომარუ იქნება, რომელთანაც ლევანს აქამდე 3 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ყველა მოიგო.

კოგა კოგახიძე

◎ რაგბი

რჩეულთა ტრიო

პოპულარულმა სარაგბო პორტალმა Rugbypass-მა ამ მომენტისთვის 50 საუკეთესო 20-წლამდე მორაგბე გამოარჩია. რჩეულთა შორის სამი უმცროსი „ბორჯღალოსანია“ და მათგან ორს უკვე კაცთა ნაკრებშიც უთამაშია.

23-ე ადგილზე „ბეიონის“ მესამეხაზელი იოანე იაშაღაშვილი მოხვდა და გამოცემა მას ასე ახასიათებს:

დიდი და სწრაფი მორაგბე, რომელსაც ხელით თამაშის შესანიშნავი კულტურა აქვს, შესაძლოა მამუკა გორგოძის ღირსეულ მემკვიდრედ იქცეს. ის დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ნაკრების ხერხემალი უნდა გახდეს.

37-ე ადგილზეა „ბრივის“ კვაჭი ვანო კარკაძე, რომელიც წელს მესამედ ითამაშებს ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე და რომელმაც 2019 წლის კაცთა მსოფლიო თასზე ერთი შეხვედრა ჩაატარა:

კარკაძე ჯერ 20 წლისაც არაა და უფროსი ასაკის ნაკრებში უკვე მოასწრო 5 კეპის მოხვეჭა. ის „ბრივში“ მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავების – თედო აბჟანდაძისა და ვასილ ლობჟანიძის მხარდამხარ თამაშობს. ეს საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ნამდვილი ქართული რევოლუციაა!

48-ე ადგილზეა უმცროს „ბორჯღალოსანთა“ „ლელო-სარასენსის“ შუამარბი დემე თაფლაძე, რომელიც 20-წლამდელთა ნაკრებში 2018 წლიდან თამაშობს და წელს მესამე ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. მან ბორჯღალოსანთა“ კვართი წელს 2-ჯერ მოირგო და ერთი ლელოც გაიტანა.

ესაა შთამბეჭდავი შუამარბი, რომელმაც პირველი სანაკრებო კეპი ცოტა ხნის წინათ მოიხვეჭა და გუნდს უკანა ხაზში ესოდენ საჭირო სისწრაფე და დინამიზმი შეჰმატა. 19 წლის მორაგბის საფრანგეთში გადასვლა მხოლოდ დროის საკითხია.

2020 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატში უმცროსი „ბორჯღალოსნები“ „ბ“ ჯგუფში ავსტრალიის, უელსისა და ახალი ზელანდიის წინააღმდეგ ითამაშებენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ტოკიო 2020

გადადება არ იგეგმება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) განცხადებით, კორონავირუსის გავრცელების მიუხედავად, წლეულს ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე რამე მკაცრი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არის.

IOC ტოკიო-2020-ის გადადების ან გაუქმების სპეკულაციებს უარყოფს. იგი გადაჭრით აცხადებს, რომ თამაშები გეგმისამებრ ჩატარდება და რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ნებისმიერი სპეკულაციები კონტრპროდუქტიული იქნება. IOC-ში მიაჩნიათ, რომ ტოკიოს თამაშებამდე დიდი დროა დარჩენილი და სწორედ ოთხწლეულის უმთავრეს ასპარეზობას აქვს შანსი ვირუსზე კაცობრიობის გამარჯვების სიმბოლო გახდეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შესაბამისი განცხადება მოჰყვა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან გუშინდელ საუბარს.

COVID-19-ის გავრცელებით, ფაქტობრივად, სრულად შეჩერებული სპორტული ცხოვრებისა და საკვალიფიკაციო პროცესში გამოწვეული ქაოსის მიუხედავად, IOC და ტოკიო-2020-ის წარმომადგენლები ურყევნი არიან საკუთარ რწმენაში. მათი განცხადებით, თამაშები 24 ივლისს აუცილებლად გაიხსნება.

IOC-ის თქმით, ათლეტებისთვის მთავარ გამოწვევად ტოკიოს თამაშებისთვის კვალიფიკაციის გავლა რჩება.

„IOC მოუწოდებს სპორტსმენებს, გააგრძელონ თამაშებისთვის მზადება, რამდენადაც ეს მათთვის შესაძლებელია. მხარში ამოვუდგებით სპორტსმენებს, რჩევებს მივცემთ მათ და მათი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტებს, ასევე მივაწვდით შემუშავებულ ახალ ინფორმაციებს,“ – ვიტყობთ IOC-ის განცხადებიდან.

აღნიშნულია, რომ კვალიფიკაციაგავლილი სპორტსმენები თამაშებში მონაწილეობის უფლებას შეინარჩუნებენ, ხოლო ჯერაც არჩატარებული ოლიმპიური საკვალიფიკაციო ასპარეზობების გასამართავი ვადები გაიზრდება. იმ შემთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო ტურნირების ჩატარება ვერ მოხერხდა, დარჩენილი საგზურების მომავალი მფლობელები შეირჩევა ადრეული შედეგების ან რეიტინგების გათვალისწინებით. აუცილებლობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება კონტინენტურ და რეგიონულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგები.

დღევანდელი მონაცემებით, 11 ათასი ოლიმპიელიდან ლიცენზია 57 პროცენტს აქვს მოპოვებული. IOC-ის განმარტებით, საერთაშორისო ფედერაციებთან თანამშრომლობით, ყველაფერი გაკეთდება დარჩენილი 43 პროცენტის შესავსებად.

ამასობაში იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ და იმავდროულად ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტ კოზო ტაშიმას კორონავირუსი დაუდასტურდა და შესაბამისი ინფორმაცია ოფიციალურად გავრცელდა.

62 წლის ტაშიმა თებერვლისა და მარტის თვეებში საქმიანი ვიზიტებით ევროპასა და აშშ-ში ხშირად მოგზაურობდა, და, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ დაავადებაც იქ მიიღო.

ბეჟან დოლიძე

არდავიწყება

ოფერ ბარ-იოზეფი - დიდი სახელი არქეოლოგიაში



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი მწუხარებით იუწყებიან, რომ 83 წლის ასაკში გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი არქეოლოგი, პროფ. ოფერ ბარ-იოზეფი. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, საქართველოს ერთგული მეგობარი და მეცნიერი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში პრეისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

უმაღლესი განათლება მან იერუსალიმში, ჰიბროუს უნივერსიტეტში მიიღო. ოფერ ბარ-იოზეფი 1967 წელს — ჰიბროუს უნივერსიტეტის, ხოლო 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატების, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. იგი ფართოდ აღიარებული მეცნიერი გახლდათ და იყო ამერიკის ეროვნული აკადემიისა და ბრიტანეთის აკადემიის წევრი.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართო და მრავალმხრივი იყო, იგი გახლდათ 400-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. ოფერ ბარ-იოზეფი სწავლობდა ახლო აღმოსავლეთის, ჩინეთისა და საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებს, იკვლევდა უძველეს ქვის ინდუსტრიებს, თანამედროვე ადამიანის წარმოშობისა და ბიოლოგიური ადაპტაციის პრობლემებს, ევრაზიაში ნეანდერტალელის და თანამედროვე ადამიანის ურთიერთკავშირებსა თუ მონადირე-შემგროვებელი საზოგადოების მწარმოებელ მეურნეობაზე გადასვლის საკითხებს.

1993 წელს ოფერ ბარ-იოზეფი და მისი კოლეგები საქართველოში ჩამოვიდნენ და მას მერე არ გაწყვეტილა სამეცნიერო თანამშრომლობა და მეგობრობა ქართველ მეცნიერებთან. ის ყოველწლიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციებში. მისი ინიციატივით საქართველოს პრეისტორიულ კვლევებში ჩაერთო მსოფლიოს მრავალი წამყვანი ინსტიტუცია და ლაბორატორია.

ოფერ ბარ-იოზეფის სახელთან ბევრი მეცნიერული მოვლენაა დაკავშირებული, მათ შორის საქართველოს პრეისტორიულ მეცნიერების ისეთი დიდი აღმოჩენები, როგორიცაა მსოფლიოში უძველესი დართული სელის ძაფის ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენა (2009 წ. Science, 30,000-Year-Old Wild Flax Fibers), ასევე აფრიკიდან გამოსული თანამედროვე ტიპის ადამიანის მიგრაციის ორი, 45,000 და 25, 000 წლის წინანდელი, ტალღის დადგენა და თანამედროვე ევროპელების გენეტიკური ჯაჭვის აქამდე უცნობი, ერთ-ერთი მთავარი რგოლის აღმოჩენა (2015 წ. Nature communications, Upper Paleolithic genomes reveal deep roots in modern Eurasians).

პროფ. ოფერ ბარ-იოზეფმა მრავალ მეცნიერს გაუხსნა მეცნიერული გზა ისრაელში, ამერიკასა თუ ჩინეთში, მათ შორის ქართველ ახალგაზრდებსაც.

ქართველ სამეცნიერო საზოგადოებასა და მის მეგობრებს არასოდეს დაგვავიწყდება ოფერ ბარ-იოზეფის სახელი და მასთან გატარებული დრო. მისი მეცნიერული შემოქმედება წარსულის შემსწავლელი მეცნიერების მსოფლიო საგანძურს წარმოადგენს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი**

სანთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და უკრაინისტიკის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი

ოთარ აკაკის ძე ბაქანიძე

◎ ვითარება

კორონადამჯარიმებლები

ჯანმრთელობის მსოფლიო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ COVID-19-ის პანდემიის პირობებში, საქართველოში სადღეისო მდგომარეობა, ხელისუფლების სათანადო გარჯის შედეგად, კონტროლს ექვემდებარება, ქართველი მედიკოსები, პირველ ყოვლისა, ინფექციონისტები, ყველა ღონეს ხმარობენ საიმისოდ, რომ ქვეყანაში გარედან შემოტანილი კორონავირუსი მეტად არ გავრცელდეს, რისთვისაც მათ კიდევ ერთხელ უდიდეს მადლობას მოვახსენებთ. ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას, რომ კორონავირუსის გაუვრცელებლობაზე ზრუნვა არამარტო მედიკოსების უშუალო პროფესიული მოვალეობაა, არამედ კერძო პირთა, ასევე არასამედიცინო სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების არათუ უბრალოდ ყოველდღიური, არამედ ყოველწუთიერი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. რაც შეეხება კერძო პირებს, ამაზე ყოველ შესაფერის სატელევიზიო თუ რადიოგადაცემაში, ბეჭდვით პრესაში თუ სოციალურ ქსელებში იმდენი ითქმება, რომ გამეორებას, უბრალოდ აზრი არა აქვს. წინამდებარე მასალის თემა არასაჭირო, უფრო სწორად, სასწრაფო ნაკლებად საჭირო კონტაქტების მინიმალიზაცია და წარმოქმნილ ფონზე მავანთა აშკარად არაადეკვატური მოქცევა გახლავთ. ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს მსუბუქი ავტომანქანების ტექნიკურ დათვალიერებაზე.

რამდენიმე ათეული წლის წინათ ტექდათვალიერება ყველა მანქანას უნდა გაევლო წელიწადში ერთხელ, მაგრამ შემდეგ ეს პროცედურა გაუქმდა და, იმის მიუხედავად, რომ ძალიან დიდი დროის განმავლობაში საქართველოში საზღვარგარეთიდან ათიათასობით ძველი, „სტაჟიანი“ ავტომობილი შემოჰქონდათ, მათი ტექნიკური გამართულობა ავტოსაგზაო მოძრაობაზე ზედამხედველ სახელმწიფო სტრუქტურაში ნაკლებად აინტერესებდათ. უფრო სწორად, ინტერესით კი აინტერესებდათ, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის მასშტაბით ამ მნიშვნელოვანი აქციის განხორციელება ერთობ გამართულ ინფრასტრუქტურას საჭიროებდა, რომლის მოსაწყობად სოლიდური ფინანსური სახსრები იყო საჭირო, კარგა ხნის მანძილზე ყველაფერი მხოლოდ საზოგადოებრივი დისკუსიის დონეზე იყო. მერე, საავტომობილო მოძრაობის ორგანიზებაში ძირეული ცვლილების კვალდაკვალ, მათ შორის, ავტოინსპექტორების მექრთამული სისტემის გაუქმების, ახალი მონიშვნების, ვიდეოპატრულირების შემოღებისა და ა. შ., **აღდგა ავტომანქანების ყოველწლიური სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების ინსტიტუტი, რაც უდავოდ მისასალმებელი გარემოებაა: ტექნიკურად გამართული მანქანა უსაფრთხო საგზაო მოძრაობის უპირველესი წინაპირობაა.** ამდენად, ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში არავითარი პრეტენზია არ არის, სამაგიეროდ, აუარება შეკითხვა გვაქვს ამ პროცედურის ჩამტარებელთა და შემდგომ სათანადო ვადების ნებსით თუ უნებლიეთ დამრღვევ ავტომფლობელთა მიმართ სადამსჯელო ზომების მიმღებთა, ანუ დამჯარიმებელთა მიმართ.

საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის ვიტყვით, რომ ყოველწლიურ ავტოტექდათვალიერების გავლის ამჟამად არსებული სტანდარტული პრტოცედურა ასეთია: წელიწადში ერთხელ, როცა დრო მოდის, მფლობელს ავტომანქანა ტექდათვალიერების რომელიმე ცენტრში მიჰყავს, მის კანცელარიაში საბუთების წარდგენის შემდეგ იხდის სავალდებულო პროცედურის საფასურს, შემდეგ მანქანას გადასცემს პოლიციის თანამშრომელს, რომელსაც ის ბოქსში შეჰყავს, სადაც სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი — ელექტრიკოსი, სავალი ნაწილის ზეინკალი და ა. შ. — ცალ-ცალკე მის ხარვეზებს ადგენს, რომელთა ნუსხას მფლობელს გადასცემენ, რომელმაც მათი გამოსწორების შემდეგ მანქანა კვლავ ხელოსანთა სამსჯავროზე უნდა წარადგინოს, ერთგვარად „გაკვეთილი ჩააბაროს“ და, თუ ყველაფერი რიგზეა, ერთი წლით თავისუფალია.

წინამდებარე მასალა კორონავირუსზე და მის მსოფლიოში თარეშზე ლაპარაკი ტყუილად არ დაგვიწყია: მიუხედავად იმისა, რომ თავად ტექდათვალიერების პროცედურასთან სადავო არაფერი გვაქვს, სამაგიეროდ, სხვა პრეტენზიები გვაქვს. თუ გავიხსენებთ, რომ წლების მანძილზე ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება საქართველოში საერთოდ არ ტარდებოდა, განა არ შეიძლება ამ პროცედურის ერთგვარად „რესტრუქტურიზაცია“ და, ვისაც კორონავირუსის ბობოქრობის პერიოდში მოუწია ამის გაკეთება, მათთვის ვადების გონივრული დროით გადაწევა? მაგრამ, როგორც ირკვევა, ამის გაკეთებას არავინ აპირებს. მასალის მომზადებისას (17 მარტს — ო. ტ.) ტექნიკური დათვალიერების რამდენიმე ცენტრს დავუკავშირდით და გვითხრეს: ვისაც ვადა მოუწია, ტექდათვალიერება დადგენილი პროცედურით ყველამ უნდა გაიაროს, ტერიტორიაზე ინფექციური უსაფრთხოება დაცულია, სადეზინფექციო საშუალებებით სამუშაო სივრცე დამუშავებულიაო. — კი მაგრამ, ავტომფლობელს ხომ სერვისის სხვადასხვა თანამშრომლებთან მაინც ექნება კონტაქტი? — კითხვა რომ დავსვათ, ამაზე ტელეფონით ვერ გიპასუხებთ, პირადად მობრძანდით და ხელმძღვანელობას ესაუბრეთო, — გვიპასუხეს. დღეს, **როცა მთავრობა, მისი სათანადო სტრუქტურები, მათ შორის, ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ეკონომიკის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები, ასევე რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ძალისხმევით, მოსახლეობაში არააუცილებელი კონტაქტების მაქსიმალურად შეზღუდვას ცდილობს, მსუბუქი ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების პროცედურაში არაფერი იცვლება.** კერძოდ, ავტომფლობელმა ავტომანქანა ტექნიკური მომსახურების ცენტრში უნდა მიიყვანოს, იქ საბუთების შემოწმების, ფულის გადახდის პროცედურა გაიაროს, შემდეგ მანქანა ავტოინსპექტორს გადასცეს და ა. შ. ჰოდა, ავტომფლობელი თუ ავად არის და ინფექცია მანქანის სალონში თუ ტრიალებს, ხომ გადაედება შემდეგ ჯერ ადმინისტრაციის მუშაკებს, პატრულის თანამშრომელს, მერე ხელოსნებს, მერე კიდევ სხვებს?

ნუთუ ამაზე დაფიქრება ძნელია? თუ ამის მესვეურთ „თავის მოქექვა“ არ სურთ, რადგან საქმეში საკმაოდ სოლიდური თანხები ტრიალებს? და თუ რა ფული, ახლავე მოგახსენებთ: ტექდათვალიერების და შემდგომ არცთუ სერიოზული ხარვეზის აღმოფხვრა, მიახლოებითი საშუალო მაჩვენებელი რომ ავიღოთ, დაახლოებით 300-400 ლარის ფარგლებშია. თავისთავად ეს თანხა დიდი არ არის, მაგრამ თუკი პიკის საათებში თუნდაც დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებს გაიხსენებთ, პლუს ამას ვადების დაუცველობაზე დაწესებული ჯარიმების სახსრები, რომლებითაც ბიუჯეტი ივსება... მილიონებზეა ლაპარაკი!

არ ვიცით, რამდენად უშველის საქმეს ჩვენი განცხადება, მით უმეტეს, რომ საკარანტინო ზომები თითქმის ყოველდღიურად მკაცრდება, მაგრამ ერთში კი ნამდვილად ვართ დარწმუნებულნი: კორონავირუსის საყოველთაო საფრთხის წინაშე აღმოჩენილი ავტომფლობელების ტექდათვალიერების ვადის ძალაუნებურად დარღვევის გამო დაჯარიმება უდიდესი უზნეობაა.

ოთარ ტურაბელიძე

ქართველი სტუდენტები სამშობლოში ბრუნდებიან

6 ქართველი სტუდენტი, რომლებიც კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკიდან საქართველოში დაბრუნებას ვეღარ ახერხებდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური ჩართულობით სამშობლოში დაბრუნებას შეძლებს.

აღნიშნულმა მოქალაქეებმა დახმარების თხოვნით საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ეგვიპტეში საქართველოს სელჩოს ცხელ ხაზს მიმართეს.

საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნება ეგვიპტესა და სომხეთში საქართველოს საელჩოების ჩართულობით და ადგილობრივ ხელისუფლებებთან აქტიური თანამშრომლობით განხორციელდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილი უწყებათაშორისი სააკორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთში იმყოფებიან და კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების შედეგად ვერ ახერხებენ სამშობლოში დაბრუნებას, საქართველოს მთავრობა გაუწევს დახმარებას.

საქართველოში პირბადეების დამზადება დაიწყო

საქართველოში პირბადეების დამზადება იწყება. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა მთავრობის ადმინისტრაციაში, ეკონომიკური საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შემდეგ.

თურნავამ პრემიერ-მინისტრისგან მიღებულ დავალებებზე ისაუბრა.

„ჩვენ პრემიერ-მინისტრის დავალებით და კერძო ბიზნესის ჩართულობით შევიმუშავეთ პროგრამა საქართველოში ადგილობრივი პირბადეების დამზადებისა და კერვის. უკვე ვიწყებთ პრაქტიკულად პირბადეების დამზადებას საქართველოში. პირველი საწარმო, რომელიც ამ პროგრამაში ჩაერთო არის „აჭარა ტექსტილი“. მე პირადად ჩავალ ფოთში და ვესტუმრები ამ საწარმოს, რათა პირბადეების პირველი პარტია ჩემი თვალით ვნახო“, — განაცხადა მინისტრმა.



მისი თქმით, 10-მდე სამკერვალო საწარმოა ჩართული პროგრამაში, ასევე რამდენიმე კომპანია, ვისაც შემოაქვს აუცილებელი ნედლეული.

ი ყ ი დ ე ბ ა

ბინა გივი სვანიძის ქუჩა №10, მე-6 სართული, 72 კვ.მ მწვანე კარკასი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 577504664.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



კორონავირუსი დაუდასტურდათ

„ბრუკლინ ნეთსის“ ოთხი კალათბურთელი კორონავირუსით დაინფიცირდა. აღნიშნული ინფორმაცია ამერიკული გუნდის ვებ-გვერდმა ოფიციალურად დაადასტურა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ამ კვარტეტიდან ერთ-ერთი კევინ დურანტი გახლავთ.

„ვადასტურებთ, რომ ოთხი კალათბურთელის ტესტი დადებითია. ყველა ასიმპტომურია და იზოლირებულნი არიან, ისევე, როგორც გუნდის დანარჩენი მოთამაშეები და პერსონალი. მათი ჯანმრთელობა ჩვენთვის პრიორიტეტულია და გუნდი ყველაფერს აკეთებს, რომ მათზე მაქსიმალურად იზრუნოს“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ NBA-ში კორონავირუსი აქამდე „იუტა ჯაზის“ წევრებს რუდი გობერსა და დონოვან მიტჩელს, აგრეთვე „დეტროიტ პისტონზის“ კალათბურთელ კრისტიან ვუდს დაუდასტურდათ.

ღირსეული კონკურენტი

თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე პოპულარული და, იმავდროულად, ყველაზე სკანდალური (ამიტომაც არის პოპულარული) რძალი მაურო იკარდის პირმშვენიერი მეუღლე ვანდა ნარა გახლავთ.

მის თავგადასავლებზე არაერთი ფაქტია ცნობილი და ახლა ამით თავს სულაც არ შეგაწყენთ. ალბათ, ავად თუ კარგად ვთანხმდებით, რომ ვანდა პოპულარობას არავის უთმობს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ არგენტინელი იმდენად ლამაზი და მშვენიერია, ამ კომპონენტში ტოლს ვერავინ დაუდებსო.

ვიქტორია ვარგა ფართო საზოგადოებისთვის ცნობადი ნაკლებადაა, არადა, გარეგნობა ისეთი აქვს, ბარე ორი თეთრი შურით რომ აღივსებოდა. ვიქტორია, გნებავთ „ვიკი“, უნგრელი მოდელია და უკვე 7 წელია, რაც ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის გრაციანო პელეს ცხოვრების მეგზურია.

არ ვიცით, რატომ არ არის ულამაზესი ვარგა ვანდა ნარასავით ყოველდღე ბულვარული გამოცემების პირველ გვერდებზე, ინსტაგრამში ნახევარი მილიონი გამომწერიც კი არ ჰყავს, მაგრამ ფაქტია — ვიზუალი დიდებული აქვს.

საიუბილეო საჩუქარი

ბრიტანეთში, ქალაქ როტრემის მცხოვრებმა ქალმა ქმარს 50 წლის იუბილეზე თირკმელი აჩუქა. კაცს ამ ორგანოს გადანერგვა სჭირდებოდა.

2018 წლის ოქტომბერში სტივენ კელსის იშვიათი დაავადება დაუდგინეს, რომლის შედეგადაც ერითროციტების ზრდის ფონზე ზიანდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები. ამის გამო კაცს ექიმებმა დიალიზის პროცედურა დაუნიშნეს და უთხრეს, რომ თირკმლის გადანერგვა სჭირდებოდა.

50 წლის სტივენს დაბადების დღეზე 45 წლის ცოლმა ტრეისიმ უთხრა, რომ ის დონორად გამოდგებოდა. **„ყველა იმედი გადაწურული მქონდა, როცა ტრეისიმ მითხრა, რომ თირკმელს მომცემდა. ავტირდი“,** — ამბობს სტივენი.

2020 წლის 20 თებერვალს ქალაქ შეფილდის კლინიკაში სტივენს ტრეისის თირკმელი გადაუნერგეს. ოპერაციას 9 საათი დასჭირდა. ახლა წყვილი სახლშია და რეაბილიტაციას გადის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 21 მარტს.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9942; ევრო - 3.3421;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7736;
100 რუბლი - 4.1028; თურქული ლირა - 0.4765;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7635;
1000 სომხური დრამი - 6.1277.

ამინდი 19 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge